№ 2922
შაბათი
1 ოქტომბერი

ცნობის ფურცელი

№ 2922
შაბათი
1 ოქტომბერი

ფასი ერთი წლის: წლიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—5კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანკის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირადად მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

შეკერილ ტანისამოსის
ახლად გახსნილ მაღაზიაში
„ექსელანს" გოლოვინის პროს., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, სახლი მანთაშევისა.
არის
დიდ-ძალი კაცის, ქალის და ბავშვის ტანისამოსი, ფორმის ტანისამოსი ყველა სასწავლებლის და სამოქალაქო დაწესებულებისა. შეიძლება შეკვეთა კაცისა და ქალის ტანისამოსისა. განუწყვეტლივ მოგვდის ყველაფერი, რაც ახალია ბერლინისა, პარიზისა და მოსკოვის სავაჭრო სახლიდან.
მ. და ი. მანდლ
მოიპოვება ყოველ გვარი საქონელი საზღვარ-გარეთის და რუსის ქარხნებისა. მთელი მასალა, დამზადებული საკუთარ ქარხანაზე ადესაში, შეძლებას აძლევს „ექსელანს"-ის მაღაზიას მეტად იაფი ფასები დანიშნოს.
საქონლის ყიდვა შეუვაჭრებლად
„ექსელანსის" მაღაზიას სრული იმედი აქვს, რომ ტფილისის პატივცემული საზოგადოება პირადად მობრძანდება და გაიცნობს ყველაფერს.
(50—6.—1)

კვირას, 2 ოქტომბერს, გარდაცვალების მეორმოცე დღეს, გორის მაზრის სოფელ ბარნაბიანთ-კარში (სადგ. გრაკალი) გარდახდილი იქმნება წირვა და პანაშვიდი

სალომე იოსების ასულის აბულაძის

(ყანჩელის ქალის) სულის მოსახსენებლად, რასაც განსვენებულის ქმარი პლატონ ქრისტეფორეს ძე აბულაძე და დედა ალექსანდრა გიორგის ასული ყანჩელი შვილები თურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. (1—391—1)

თავადი ქაიხოსრო ქაიხოსროს ძე ხერხეულიძე ქალებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას 28 სექტემბერს, საღამოს 10 საათზე ძვირფას მეუღლის

კნ. ბარბარე ნიკოლოზის ასულის ხერხეულიძისას.

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 8 საათზე. გამოსვენება 1 ოქტომბერს, დილის ათ საათზე, საკუთარ სახლიდან, ელისაბედის ქუჩაზე, კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე. (2—2)

№ 2. ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში № 2.
ორშაბათს, 3 ოქტომბერს, 1905 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა

I	II
ნიაღვარი	**ბებრის საღერღელი**
დრამა ოთხ მოქ. კოსოროტოვისა თარგ. ვ. გუნიასი.	ვოდ. 1 მოქმ. მაზურკევიჩისა. თარ. დ. აწყურელისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, მ. მდივანი, ა. ნებიერიძე, ნ. ჩხეიძე; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ს. სვიმონიძე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ხარკვიანი, ვ. ურუშაძე.

წარმოდგენა დაიწყება საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი: ლოჟები 2 მ.-დან 10 მ.-მდე, ბალკონი 60 კ.-დან 75 კ.-მდე, ამფითეატრი 1 მ. გალერეია 25 კ.-დან 35 კ.-მდე. მოსწავლეთათვის ადგილები 40 კაპ.

მზადდება წარმოსადგენად მშარეხა, სუდით იბოდნი, შით თავ:დი, ქოხში.

რეჟისორი ვალერიან გუნია.

იშვიათი ვაჭრობა
„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის"
ამხანაგობა
ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გავიდა და რადგან საქმის მოწესრიგება საჭიროა, ამა თვის 11-დან დაინიშნა.
ვაჭრობა
მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი.
100,000 მანეთისა.
მთელი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება იმაზე ნაკლები ფასები დანიშნოს, რასაც იაფ გაშრობის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ.
საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით ყოველ კონკურენციის გარეშეა.
ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.
ფასები შეუვაჭრებლად.
ამხანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—202)

✦ ხელ-ახლად ✦
შეკეთებულს სახლში, რომელიც ეკუთვნის ქვაშვეთის ეკლესიას, გოლოვინის პროსპექტზე, პირველ გიმნაზიის პირდაპირ, ამა 1905 წლის სექტემბრის უკანასკნელ რიცხვებში
იხსნება
სამაგალითო მაღაზია შეკერილ ტანისამოსისა
ამ ფირმით
პარიზის მაღაზია
„ძმ. საფარიანცების და ტერ-სააკოვისა"
განსაკუთრებულ განყოფილებით, სადაც იაფ ფასიანი საქონელი გაიყიდება.
ყველასთვის დიდძალი საქონელია დამზადებული, შეკერილი ტანისამოსი მამაკაცთა (სტატსკისა და ფორმისა), დედაკაცთა და ბავშვთა, აგრეთვე ყოველ გვარ ფირმის ტანისამოსი მოსწავლე ვაჟების და ქალებისთვის, მომზადებული საკუთარ სახელოსნოებში ტფილისსა, ბაქოსა და ოდესაში. ტანისამოსი შეკერილი იქნება პარიზის უკანასკნელ მოდაზე. მუდამ ქამს მოვა ყველაფერი, რასაც-კი სეზონი შეჰქმნის.
შეიძლება დაკვეთა საქონლისა, კაცისა და ქალის ზედა ტანისამოსისა საკუთარ მატერიებიდან, რუსეთის და ინგლისის ქარხნების ნაწარმოებიდან. დაკვეთის მომზადება ჩქარა და კარგად გამოცდილ გამომჭრელთა ხელმძღვანელობით. ამ გამომჭრელთა კურსი დამთავრებული აქვთ პარიზის სამკერვალო აკადემიაში.
ფირმა, აცხადებს რა ამას საყოველთაოდ, სთხოვს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას პირადად მობრძანდეს და დარწმუნდეს ყველაფერში.
ფასები საქარხნოა და შეუვაჭრებელი
(10—360—9)
პატივისცემით „ძმ. საფარიანცები და ტერ-სააკოვი"

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026
მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი
მ. გ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.
ი. ნ. მიქაძეროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.
ა. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
ზ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვის ავადმყოფობანი.
ი. მ. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
ც. პ. ქამონტი. 1—2 ს. საღოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ელჩიბეგი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
ვ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სტაციონარული განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—15)

ექიმი
დ. გედევანიშვილი.
დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და იღებს ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე შინაგან და ნერვიან ავადმყოფებს და ჰკურნავს ელექტრონით.
ადრესი: კიროჩნი ქუჩა, საზაფხულო კრუჟოკის პირდაპირ, სახლი მარტინოვსკის. ტელეფონი № 1056. (თვ.—828—29)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიძისა № 11.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791. (ჭ.)

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი
ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10-დან 11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1, ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 7111. (50—368—7)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 82) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის; კვირაუქმეებით 10—1-მდის.

კბილის ექიმი
ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველდღე 9—2-მდე და 5—7 საათამდე, კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპექტი № 12, სახლი მდივნისა. (30—19)

ტფილისის კბილის საექიმო
სკოლა
ექიმების ფ. ფ. ნევტონოვისა და მ. ვ. ზინევისა იხსნება ამა წლის პირველ ოქტომბრიდან.
თხოვნების მიღება 15 ოქტომბრამდე, ყოველ დღე ექიმ ნევტონოვის ბინაზე, პეტერბურგის ქ. № 6. (3—395—1)

კიდევ პარტიები

ბიუროკრატიულ ცენტრალიზმის მეოხებით ჩვენს ცხოვრებაში მრავალი უკუღმართი და უცნაური მდგომარეობა იკიდებს ფეხს. ჩვენ ერთი ასეთი უცნაური უკუღმართობა გვინდა აღვნიშნოთ.

დღეს არავისთვის დაფარული არ არის, რომ კავკასიაში საერთოდ და განსაკუთრებით-კი იმის დასავლეთ ნაწილში ესე იგი საქართველოში მეტად მტკიცედ მოიკიდა ფეხი მუშათა მოძრაობამ. ეს მოძრაობა ნამდვილ კლასსებრივ თვით-შეგნებაზეა დამყარებული, სწამს საზოგადოების დანაწილება მოწინააღმდეგე ელემენტებად ეკონომიურ ინტერესების მიხედვით და ამასთანავე აღიარებს, რომ თითოეულს კლასს აუცილებლად თავისი საკუთარი კლასსებრივი იდეოლოგია აქვს. წავიდა ის დრო, როდესაც საზოგადოებრივ ძალთა ჰარმონიაზე შეიძლებოდა დაემყარებინა ადამიანს თავის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოქმედების პროგრამმა; ვისაც კლასსთა წინააღმდეგობა არა სწამს, ვინც საზოგადოების ძალთა დაყოფას ვერა ჰხედავს ჩვენს ეხლანდელს ცხოვრებაში, ის ჩვენის დროის შვილი არ არის, ის მთლად თავის არსებით ისტორიული ანაქრონიზმია.

კლასსთა წინააღმდეგობა უტყუარი ფაქტია და ამ ფაქტის პირველი და ბუნებრივი შედეგი არის საზოგადოების დაყოფა პოლიტიკურ პარტიებად. ჩვენში, როგორც რუსეთის ერთ-ერთ ნაწილში, დღევანდელამდე პარტია უკანონო მოვლენაა, რომელსაც სდევნის ადმინისტრაცია, სასამართლო და კანონმდებლობა. ამისდა მიუხედავად მთელმა ქვეყანამ იცის რუსეთშიაც და უცხოეთშიაც, რომ პარტიები არსებობენ და უკანასკნელ წლებში თავის მხნე მოქმედებით არღვევენ ფორმალიზმის კედლებს, წინად მიწის ქვეშ დამალულნი ეხლა მედიდურად გამოდიან ქუჩებში თავისუფალ ჰაერზე საცხოვრებლად.

ეს მოვლენა თავის თავად, რა თქმა უნდა, არც უკუღმართია და არც უცნაური; პირიქით, უცნაური და უკუღმართი სწორედ ის იქნებოდა, რომ ცხოვრების დღევანდელს პირობებში მხნედ მომქმედი პარტიები არ არსებობდნენ. ჩვენ ვამბობთ „პარტიები" და არა პარტია, რადგან ეხლანდელ საზოგადოების დანაწილებას მოწინააღმდეგე კლასსებად ბუნებრივად რამდენიმე სხვა და სხვა მიმართულების საზოგადოებრივი გათვითცნობიერებული ჯგუფი უნდა შეექმნა, რომელთა შორის ფრიად თვალსაჩინო ადგილი უნდა დაეკავებინა ლიბერალურ ანუ ბურჟუაზიულ პარტიას.

სოციალური და ეკონომიური ურთიერთობა ეხლანდელის ცხოვრებისა ისეთია, რომ შრომის ინტერესების დამცველი პარტიები აუცილებლად უნდა ებრძოდნენ, აუცილებლად უნდა უპირისპირდებოდნენ მიწის მფლობელთა და კაპიტალისტთა კლასობრივ ინტერესების დამცველს პარტიას ან პარტიებს. ჩვენის ეხლანდელ საზოგადოებრივ ცხოვრების ერთ-ერთ უცნაურობად და უკუღმართობად სწორედ ის მიგვაჩნია, რომ მიწის მფლობელნი და კაპიტალის პატრონნი დღემდე არა თუ პარტიას არ შეადგენენ, არსად ჯერ-ჯერობით იმისი ნასახიც არა სჩანს. შიდა რუსეთში ლიბერალების პარტიის შექმნას კაი ხანია შეუდგნენ და ამ აზრით უცხოეთში რუსულს ენაზე გაზეთსაც ჰბეჭდავენ, „ოსვობოჟდენიეს" სახელით. იმ საზოგადოებრივ ჯგუფს, რომელიც „ოსვობოჟდენიეს" ახლო-მახლო ტრიალებდა, ამ ერთის წლის წინად მიეცა პარტიული ორგანიზაცია და ეხლა, მოსკოვში მომხდარ საერობო მოღვაწეთა ოფიციალურ ყრილობის შემდეგ, უკვე ნამდვილი და ამასთან არც თუ უძლური პარტიაა.

ჩვენში-კი დღემდე არა თუ ამ გვარი პარტია არ დაარსებულა, არამედ ყოველი ცდა ამ აზრის განსახორციელებლად საჩქაროდ ინგრეოდა და უნაყოფოდ რჩებოდა. რუსეთის ლიბერალების პარტიამ კავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოში, წევრები ვერ შეიძინა, თუმცა 18 თებერვლის უმაღლესის ბრძანებით ნება დართულს თავისუფალს კრებებზე „ოსვობოჟდენცები" ძალიან სცდილობდნენ თანამოაზრეების მოპოვებას. გლეხთა მოძრაობით გამოწვეულმა შიშმა ქართველ თავად-აზნაურების წრეებში თუმცა დაბადა აზრი პარტიულ ორგანიზაციის შექმნისა, მაგრამ მხოლოდ სუსტი „შავი რაზმი" მოაწყო და ისიც საჩქაროდ დაფრთხა და დაიმალა.

პირველი შეხედვით ეს გარემოება პირდაპირი უკუღმართობაა. კერძო საკუთრების მოწინააღმდეგენი შეჯგუფდნენ, ძლიერ მებრძოლ რაზმად გადაიქცნენ, კერძო საკუთრების დამცველნი-კი ისევ დაქსაქსულნი არიან და მებრძოლ ორგანიზაციას არ შეადგენენ.

ლიბერალურ პარტიების დაარსებას ჩვენში ორი მიზეზი უშლიდა და უშლის ხელს, რომელთაგან ერთი საერთოა მთელის რუსეთისთვის, მეორე კი განსაკუთრებითი ადგილობრივია. უკანასკნელ დრომდე კერძო მესაკუთრეთა ინტერესებს რუსეთში თვით ბიუროკრატია იცავდა, რომელიც სასტიკად სდევნიდა გაფიცვას და ყველა სხვა მოქმედებას შრომის ინტერესების დამცველ პარტიებისას, ასე რომ მესაკუთრენი არხეინად იყვნენ: მათ მაგიერ მთავრობა იბრძოდა. განმათავისუფლებელ მოძრაობის დაწყებით ცხოვრების პირობები შეიცვალა, გამოაშკარავდა, რომ ბიუროკრატია უძლურია ამას იქით ბურჟუაზიულ და ფეოდალურ პარტიების როლი შეასრულოს, ამ გვარად აუცილებელ საჭიროებად გადაიქცა ლიბერალურ პარტიების შექმნა ამ ნიადაგზე აღმოცენდა ჯერ-ჯერობით საერობო პარტია და მრეწველობის კონსტიტუციონალური პარტია.

მეორე მიზეზი, რომელიც აფერხებდა და აფერხებს ჩვენში ლიბერალურ პარტიების დაარსებას, ის გარემოებაა, რომ ცენტრალიზმის წყალობით ჩვენებურს მესაკუთრეებს არც წინად მიაჩნდათ და არც ეხლა მიაჩნიათ საჭიროდ აქტიურად გამოვიდნენ თავის პროგრამით საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე. იმათ კარგად იციან, რომ ცენტრალისტურ კანონმდებლობისთვის მათი ხმა მეტად სუსტი და უმნიშვნელოა, იციან, რომ ცენტრში საკუთრების ინტერესებს უიმათოდაც კარგად დაიცავენ რუსეთის ლიბერალური პარტიები და უბრალოდ თავის შეწუხებას არა ნდომობენ.

რამდენისამე თვის შემდეგ კავკასიაში სახელმწიფო სათათბიროს წევრების არჩევნები მოხდება. ლიბერალურ პარტიების მოქმედება უმთავრესად ყველგან და ყოველთვის საარჩევნო აგიტაციაში გამოიხატება. რუსეთის ლიბერალურმა პარტიამ სწორედ ამიტომ დაიწყო ასე საჩქაროდ და ასეთის რიხით თავისი კამპანია მოსკოვის საერობო კრებაზე. ჩვენებური ლიბერალები კი შორიდან უცქერიან თავის თანამოაზრეთა მხნე მოქმედებას და სჯერათ, რომ რასაც ისინი დასთესენ, იმას ყველა მესაკუთრე მოიმკის.

უეჭველია, სულ სხვა იქნებოდა, ადგილობრივი სოციალური და ეკონომიური ურთიერთობა სხვა და სხვა საზოგადოებრივ კლასსებისა ადგილობრივის კანონმდებლობით რომ სწყდებოდეს. მაშინ ჩვენებური მესაკუთრენიც მეტს ენერგიას და სიმხნევეს გამოიჩენდნენ.

ჩვენ ვიცით, რომ „მოგზაურის" გმირები კიჟინას დაგვცემენ, კიდეც იმიტომ გინდათ ავტონომია, რომ ლიბერალურ-ბურჟუაზიული პარტიები გაჩნდნენ, გაძლიერდნენ და შრომის ინტერესები დასჩაგრონო. მაგრამ აჩქარებული და წინდაუხედავი კიჟინისა არც წინად გვაშინებდა და არც ახლა გვაშინებს.

კლასიური თვითშეგნება მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩადგეს ნორმალურს კალაპოტში, მხოლოდ მაშინ შეიძლება გასცდეს უბრალოდ სიტყვის და ფრაზის ღეჭვას, კლასიური პარტია მხოლოდ მაშინ შეიძლება შეიქნეს ჭეშმარიტად აქტიურ კლასსებრივ იდეალის განმახორციელებელ ძალად, როდესაც ის თავის მოწინააღმდეგის გვერდით იზრდება. იმასთან მუდმივს ბრძოლაში იწვრთნება და ამ ბრძოლაში აწრთობს თავის სარევოლიუციო ძალას. ვიდრე ადგილობრივ მომქმედს შრომის ინტერესების დამცველ პარტიას ადგილობრივი არ უწევს წინააღმდეგობას ადგილობრივი პარტია კერძო მესაკუთრეთა ინტერესების დამცველებისა, რაც უნდა ბევრი ეცადოს და რაც უნდა ბევრი იყვიროს მშრომელთა პარტიამ, ის მაინც ფრაზეოლოგიას ვერ გასცდება და ნამდვილ, ფართო იდეალის მატარებელ საზოგადოებრივ ძალად ვერ გადაიქცევა. ამის მიზეზი მეტად მარტივია: ადგილობრივ არც ერთი საკითხი არ იქმნება საბოლოოდ გადაწყვეტილი, ადგილობრივ მოწინააღმდეგე ძალთა ურთიერთობას გადამწყვეტ გარემოების მნიშვნელობა არ ექმნება; ყველაფერი შორს, უცხო მხარეში უნდა გადაწყდეს და, როგორც ღვთის წყალობა ან ღვთის ცეცხლი, ისე უნდა მოევლინოს ქვეყანას.

მოკლედ რომ ვთქვათ, ცენტრალიზმი აფერხებს კლასობრივს თვითშეგნების განვითარებას, ხელს უშლის ადგილობრივ გა-

დიშალოს მთელის თავის შინაარსით არსებული წინააღმდეგობა კლასთა შორის, ნიადაგს აცლის პარტიის მოქმედების ნაყოფიერებას და აუცილებლად უკარგავს პარტიის კლასობრივს ხასიათს. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამ უკანასკნელ გარემოებას, რომელიც ხშირად მახინჯ ფორმებს ითვისებს და მშრომელ ხალხის ინტერესის სახელით იცავს იმას, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება იმის ნამდვილს ინტერესებს.

Z

პროვინციელის უნუგეშობა

სათავად-აზნაურო სკოლის კრებაზე ნახულის და გაგონილის გამო.

მოგეხსენებათ, მაისის გასულს და თიბათვის პირველ რიცხვებში რამდენი კარგი ამბავი მოხდა და რამდენი კარგი აზრი გამოითქვა სათავად-აზნაურო სკოლის შესახებ. რასაკვირველია, არც ის გექნებათ დავიწყებული, რამდენი საყვედური შესთავაზეს სკოლის გამგე კომიტეტს და მასწავლებელთა კრებულს ქართულ ენის დადატოსათვის.

ყველა ამის შემდეგ, გვგონა, მომავალ სამოსწავლო წელს თუ სრულიად არა, ბევრი რამ მაინც შეიცვლებოდა ავი-კარგზე, ცნობილი და ყველასაგან აღიარებული უნუგეშო მდგომარეობა სკოლისა სანუგეშოდ გადიქცეოდა, შესაძლებელი ცვლილება ამ წლიდანვე შესდგამდა ფეხს სკოლაში, გამაგრდებოდა, თანდათან გაძლიერდებოდა და მოკლე ხანში ხელში შეგვრჩებოდა საუკეთესო ტაძარი განათლებისა, რომლიც მადლს ბრწყინვალე შარავანდედით შემოსილს მოგვფენდა სამშობლოს. 25 და 26 სექტემბერს იმ კრებებზე დავესწარი, რომლიც უნდა ყოფილიყო ორი თვით ადრე, თუ მართლა ამ კრებებზე სასკოლო საქმის წარმატება უნდოდა ვისმე. ამ კრებებზე მრავალნი მჭერმეტყველებდნენ. განათლებული ახალგაზრდობა, რომლიც დედა-ბოძია ჩვენის ნუგეშისა, ორად გაყოფილიყო. უმრავლესობამ კარგად იცოდა, რომ შესაძლებელ ცვლილებათა შორის იყო თვით მასწავლებელთა გაწმენდა დუარძლისაგან. იცოდა, რომ ამ ცვლილებას დიდი მნიშვნელობა ექმნებოდა მდგომარე აკადემიურ წელიწადს, იცოდა, რომ ამ ცვლილებას დაააბრკოლებდა ისეც ის, ვისიც დაუდევრობით თუ სხვა რითიმე დადუარძლიანდა მასწავლებელთა კრებული,—ყველა ეს იცოდა და თან, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ეწეოდა უღელს იმ პირობებისკენ, რომლებიც ყველა ამას უცვლელად სტოვებდნენ. უმცირესობა დელავდა, ვერ ახერხებდა დაწყნარებით აწონვას მართლა და ასადლებელისას. ამით სარგებლობდა, ვინც დაწვეულია სხვის მდგომარეობით სარგებლობას და მიეზიდებოდა საზოგადოებას უკუთისაკენ.

იგივ საზოგადოება მაის-თიბათვეში დიდს საყვედურს უცხადებდა მასწავლებელთა კრებულს, როგორ ითმენდით ამისთანა პირობებში ცხოვრებას, როგორ არა გრცხვენიათ, აქამდის არ შეგვატყობინეთ ჩვენის შვილების დამაბეჩავებელი და გამათახსირებელი პირობები, რომ დროზე გვეღონა და სკოლისათვის აგვეცილებინა ყველა ეგაო. დღეს-კი იგივე საზოგადოება უყურადღებოდ სტოვებს მასწავლებელთა გოდებას—აღარ შეგვიძლიან ამ პირობებში მასწავლებლობა, ჩვენი საქმიანობა უნაყოფო იქმნება თუნდა ვიმუშაოთო; თქვენ არ იცით ყველა ის, რაც აქ ხდება და რაც ასეთვე თხოულობს გასწორებას და იმიტომ ძნელი ადვილად მიგაჩნიათ, გვირჩევთ დარჩენას და იმავე პირობებში ყოფნას მომავალ მაისამდეო,—უყურადღებოდ სტოვებს და თვის დადგენილებით სპობს, რაც მაის-თიბათვეში დაადგინა, გადადის კომიტეტის და კომისიის წევრთა არჩევანზე. თუ უმრავლესობას მარტო სასკოლო საქმის შესაძლებლად გაუკეთესება ჰქონდა სახეში და სხვა არაფერი, ცხადია, იმ აზრს დაადგებოდა, რომ მოურიგებელი პირობები ერთმანეთისთვის დაეშორებინა და სხვა შესაძლებელ ცვლილების მოხდენა გადაეწყვიტა. მაგრამ საქმემ სულ სხვა დაგვანახვა; იმან მთელი საქმე რეორგანიზაციისა გადადო მაისამდე და შეურიგებელი პირობებიც ისევ დასტოვა და ამით შესაძლებელ ცვლილებათა მოხდენას გზა შეუკრა.

ვინ იცოდეს საზოგადოებამ, რომ მისგან გამოთქმულ აზრს მის-თიბათვეში დიდი მნიშვნელობა ექმნებოდა სასწავლებლის ცხოვრების შემადგენელ ნაწილების ურთიერთობისათვის. მართალია, ურთიერთობრივი დამოკიდებულება შექმნილია თვით ცხოვრებისაგან, მაგრამ საზოგადოების აზრს მაინც დიდი მნიშვნელობა ექმნებოდა: ზოგ ნაწილებს ნაადრევს უფრო გაუმაგრებდა და ზოგს-კი არამც თუ ნაადრევს შეურყევდა, ხასიათსაც შეუშლიდა. ცხადია, ამით თვით საზოგადოებამაც წილი ჩაიდო დამოკიდებულებათა გამწვავებაში და ახლა-კი, როცა ყველას თავისი უნდა მისწვდა საქმისაკენ თვისისა, საზოგადოების უმრავლესობა სტოვებს გამწვავებულ მდგომარეობას, თითქოს ეუბნება, ერთმანეთიც დაკიჭმაითო.

ნუ თუ ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზა მარტო ერთი იყო—გადადება რეორგანიზაციის საკითხისა სავსებით და ძველის კომიტეტის უფრო გაცლდენის პირების ახლად არჩევა? ჩვენ ეს არა გვჯერა. მოწინააღმდეგე უმრავლესობამ კარგად იცოდა სხვა გზაც, მაგრამ პირველი აირჩია თვით სასკოლო საქმისაგან, გუთნებ, დამოუკიდებელ მიზეზების გამო...

მე არ ვიცი, მასწავლებელთა უკეთესი ნაწილი როგორ მოიქცევა და მისი გაშორება, მწუხარება, ჰბილთა დრჩენა ცხადად წარმოდგენილი მაქვს და წრფელის გულით ვუცხადებ თანაგრძნობას.

სამწუხაროდ, ძველის პირობების ახლად თუმცა დროებით, მაგრამ მაინც დაკანონებისა და გაპატრონების იგრძნო თვით მასწავლებლობამაც. თუმცა იმის გრძნობის გამოხატვა ბევრს ეუცხოვა, როგორც არა ჩვეულებრივი, მაგრამ ეს გასაკვირველი არ არის ამ განმანათლებელ მოძრაობათა დროს. სხვა რა ხდება ჩვეულებრივად, რომ ეს მოხდარიყო?

ყველა ამან მე, პროვინციელი, რომელსაც ჩვენ კუთხეში სხვებთან ერთად დიდი წარმოდგენა გვქონდა დედა-ქალაქის ცხოვრების ბედებზე, რომელთა მეოხებით ჰნუგეშობთ და გამოუთქმელ ნუგეშიობაში ჩამაგდო. აღარას ვიტყვი იმაზე, რომ მოკამათეთა შორის მარტო ერთი ლაპარაკობდა ქართულად, რადგან ამაზე, როგორც სჩანს, რისამე თქმა არა კმარა, მეტი უნდა, ვიდრე თქმა, მეტი კიდევ ჩვენ არ შეგვიძლიან, თვით საზოგადოებამ უნდა იკისროს.

ნადიკვრელი

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 30 სექტემბერს, ნაშუადღევის 2 1/2 საათზე, მინისტრთა კომიტეტის საქმეების გამგე **ბარონი ნოლდე** ტფილისში ჩამოვიდა.

◆ როგორც გავიგეთ, ტფილისის **ხაზინის ხმოსანთა უმრავლესობას** აზრადა აქვს, უკან დაიბრუნოს სამსახურიდან გადადგომის განცხადებანი და ხელ ახლა შეუდგეს ხმოსნობას.

◆ გუშინ, 30 სექტემბერს, ოლქის სასამართლოს პროკურორმა და გამომძიებლებმა ადგილობრივ დაათვალიერეს ის ადგილები, სადაც **27 სექტემბერს ყუმბარები ისროლეს.**

◆ **ჭიათურაში მოძრაობა.** როგორც გავიგეთ, ადგილობრივ სადგურის დასაცველად ქუთაისიდან კუბის პოლკის ერთი რაზმი გაუგზავნიათ.

◆ დღეს, **სვეტი-ცხოვლობას,** მცხეთაში წამსვლელთათვის დანიშნულია თექვსმეტი მატარებელი, რვა ტფილისიდან და რვაც მცხეთიდან.

◆ ტფილისის გენერალ-გუბერნატორთან საქმის მწარმოებლად მყოფი, სათადარიგო აფიცერი, ტფილისში უფროს ნოტარიუსად ნამყოფი სტეფანოვი, როგორც გავიგეთ, ინიშნება ქალაქის **თვითმმართველობის სამეურნეო ნაწილის გამგედ.**

◆ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ განკარგულება მოახდინა, ხელ-ახლა გაიხსნას ამ რამდენისამე წლის წინად **დაკეტილი სამკითხველოები გურიის** შემდეგ სოფლებში: ოზურგეთისა, ბახვსა, ჩოხატაურსა, ხიდისთავსა, შემოქმედსა, ნაგომარსა, ნიგოითსა, ასკანასა, აკეთსა, ლანჩხუთსა, ძიმითსა და სუფსაში.

◆ ჩაქვის სადგურზე, როგორც გვატყობინებენ, 27 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, **მოჰკლეს სადგურის უფროსი ბელთაუხოვი.**

◆ ქართლ-კახეთის სამღვდელოების წარმომადგენელთ სთხოვეს ეგზარხოსს დაინიშნოს ამ ცოტა ხანში **ეპარქიის სამღვდელოების კრება.**

◆ 28 სექტემბერს ბათუმში სამხედრო სასამართლომ გაარჩია **ცნობილი საქმე მუფტის** ჰაჯი-მამედ-ისმაილ-ეფენდი-ზადეს მოკვლის შესახებ. ბრალი ედებოდა გიორგი მაჭარაშვილს და გიორგი სურნანიანცს. სასამართლომ ორივე დამნაშავედ იცნო და ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა. ამასთან დაადგინა, იშუამდგომლოს გენერალ-გუბერნატორის წინაშე, რომ ეს სასჯელი კატორგაში გაგზავნით შეეცვალოთ.

◆ ბორჯომში, დიდის მთავრის მამულში, სცხოვრობენ **ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიიდან გადმოსახლებულ იმ გლეხთა მემკვიდრენი,** რომელთაც, თანახმად სენატის გადაწყვეტილებისა 1896 წელს, ნადელების მიღების ნება არა აქვთ და ბინადრობენ აღნიშნულ მამულში მოიჯარადრეების უფლებებით. 1899 წელს, ყოფილ მთავარ-მართებლის განკარგულებით, ეს გლეხები ამოურიცხავთ ბორჯომის სასოფლო საზოგადოების სიებიდან და მიუწერიათ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნების იმ სოფლებზე, სადაც მათი მამა-პაპანი სცხოვრობდნენ. გლეხებს ამის შემდეგ უთხოვნიათ დიდის მთავრისთვის მათი ხელახლა ბორჯომის სოფლის საზოგადოებაზე მიწერა. ეხლა, როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ნება დაურთავთ, მიაწერონ ბორჯომის საზოგადოებას შემდეგი სოფლები: ბანისხევი, ბერისაყდარი, ქვიბი, ვაშლოვანი, ლიკანი, სადგერი, სადგურის ტბა, ცემი, ვეტამზი, ცაგვერი, მაჭარწყალი, კიმოთის უბანი, გომნა, ლარები, ზემო ბეშეთი, ქვემო ბეშეთი, პატარა მიტარბი, ქვაბის ხევი, ნეძვისი და ტელოვანი. ქუთაისის და ტფილისის სახაზინო პალატებმა უკვე მიიღეს შესაფერი განკარგულება ამის შესახებ.

◆ **სიღნაღის მაზრის რამდენიმე სოფელი** სეტყვისაგან ძალზე დაზარალებულა. ყველაზე მეტი ზარალი მოსვლიათ ანაგისა და ვაქირის საზოგადოებებს. სეტყვას სრულიად გაუნადგურებია მათი ვენახები და სახნავ სათესი. ამ სოფლებში კარგი ღვინის მოსავალი იცის და მცხოვრებნი განსაკუთრებით ღვინის მოყვანას მისდევენ. გლეხებს აუწერიათ თავიანთი მდგომარეობა და უთხოვნიათ მაზრის ადმინისტრაციისათვის უმაღლეს მთავრობის წინაშე შუამავლობის გაწევა, რომ ამ წლის ყოველნაირ სახელმწიფო გადასახადის მოკრება გადადებულ იქნას სხვა დროისათვის. ზარალის შესამოწმებლად მომრიგებელი შუამავალი, მაზრის უფროსი და გადასახადთა ინსპექტორი ადგილობრივ გამგზავრებულან, შეუდგენიათ დაწვრილებითი სია და ამათაც უთხოვნიათ მთავრობისთვის ამ ორ საზოგადოებას ექვსის წლით გადაედოთ წლევანდელ გადასახადების ერთი ნაწილის, ე. ი. თითოს ექვს-ექვსი ათას მანეთის, გარდახდა, იმ პირობით-კი, რომ ეხლავე შეუდგნენ წინა წლების ნედოიმკების და ამ წლის დანარჩენ გადასახადის მოკრებას. როგორც შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, ანაგის საზოგადოებაზე საადგილ-მამულო და საერობო გადასახადი გაწერილი ყოფილა 9007 მან., ხოლო ნედოიმკა დარჩენილა—2867; ვაქირის საზოგადოებაზე გადასახადი ყოფილა—8989 მან., ნედოიმკა—1625 მან.

◆ 26 და 27 სექტემბერს ბათუმში სამხედრო სასამართლომ **განიხილა საქმე გ. ლომაიას,** და ა. შურგაიასი, რომელთაც ჰბრალდებოდათ **ჟანდარმთა უნტერ-აფიცრის აგიუკევიჩის მოკვლა.** ეს მკვლელობა 14 მარტს მოხდა ქალაქ ფოთში. სასამართლომ ლომაია გაამართლა, ხოლო შურგაიას ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა, ამასთან დაადგინა, იშუამდგომლოს ეს სასჯელი კატორგად შეეცვალოს.

◆ როგორც „ტ. ლ."-ს ატყობინებენ, 25 სექტემბერს ალექსანდროპოლის მაზრის სოფელ ჯანგიტანში **ხიზნებს მოუკლავთ ოცი მაჰმადიანი.** სოფლის მოხელენი და მცხოვრებთა ერთი ნაწილი სადღაც დამალულან.

◆ 27 სექტემბერს **ბაქოში მოულოდნელად გაუჩხრეკიათ** ტერ-აკოფოვის, გრიგორიანცის, კოლესნიკოვის, კუზმინის, ანტონოვის, ტერ-არუთინოვის, შიპოვის, ფორერის, მინიკოვის და მირ-კასიმოვის სახლები და ყველგან დიდ-ძალი იარაღი უნახავთ. როგორც „კასპი" გადმოგვცემს, ამ სახლებში თითქმის სულ სომხობა სცხოვრობს თურმე. იარაღი საარტილერიო საწყობებში წაუღიათ.

◆ იმავე გაზეთის სიტყვით, ტფილისში **ნამესტნიკთან წამოსულა** ბალახანის, საბუნჩის, რომანის და ზაბრატის სოფლის მცხოვრებთა (მაჰმადიანები) დეპუტაცია, რვა კაცი. ამათ უნდა სთხოვონ ნამესტნიკს, დასახელებულ სოფლებში ეგზეკუცია მოხსნას; ამასთან პირობასა სდებენ, თვითონ დაიცვან წესიერება, თუ სომხები არ დაარღვევენ.

◆ **კახეთის სამღვდელოების დეპუტატებს** უცნობებიათ ნამესტნიკისთვის, რომ სამღვდელოება დიდ გაჭირვებაში ჩავარდა, რადგან გლეხებისაგან აღარავითარი შემოსავალი აღარა აქვსო.

◆ გუშინ, 30 სექტემბერს, ტფ. სამოსამართლო პალატამ განიხილა **პოლიტიკური საქმე** პეტროს ტერ-სიმონოვისა. ტერ-სიმონოვს ის ჰბრალდებოდა, რომ მან წასულ 1904 წელს, 7 ნოემბერს, არაქსიანის თეატრის ბუფეტში, სადაც მემუსიკე სალდათები იყვნენ, მთვრალმა ცუდის სიტყვებით მოიხსენია ხელმწიფე იმპერატორის სახლობა. პასუხის გებაში მიცემულმა ტერ-სიმონოვმა სთქვა, ძალზე მთვრალი ვიყავი და არ მესმოდა, რას ვამბობდიო. საქმე ხალხის დაუსწრებლად გაირჩა. პალატამ დამნაშავედ იცნო ტერ-სიმონოვი და გადაუწყვიტა პოლიციასთან 2 კვირით დაპატიმრება.

◆ ქართლ-კახეთ-იმერეთის სასინოდო კანტორას, „კავ."-ის სიტყვით, დაუდგენია დააწესოს **ბლაღოჩინთა ამორჩევა** დანიშვნის ნაცვლად, როგორც აქამდე იყო.

◆ გაგრაში 28 სექტემბერს, როგორც გვატყობინებენ, **მოუკლავთ კლიმატიურ სადგურის უფროსი** შერემეტიევსკი და დაუჭრიათ სასტუმროს პატრონი ბონდარენკო.

◆ იმ ინციდენტის გამო, რომელიც 27 სექტემბერს მეორე გიმნაზიის მოსწავლეებს შეემთხვათ, სწავლას თავი გაანებეს **რკინის გზის სატექნიკო სასწავლებლის მოწაფეებმაც.**

◆ გუშინ ტფილისში ჩამოვიდა **სრულიად რუსეთის კავალერიის უფროსი** გენერალი რადიგერი.

◆ ტფილისში დაარსდა **კავკასიის მხატვართა ურთიერთ-დამხმარებელი საზოგადოება.** მთავრობამ უკვე დაამტკიცა წესდება. საზოგადოებას აზრადა აქვს დახმარება აღმოუჩინოს თავის წევრებს მხატვრებს. ამისათვის გამართავს ბიუროს, სადაც მსურველს შეეძლება შეუკვეთოს ესა თუ ის სამხატვრო საქმე, გამართავს სამხატვრო გამოფენებს, საღამოებს და სხვა. ნამდვილმა წევრმა წლიურად უნდა გადაიხადოს 5 მ. ამ დღეებში მოხდა დამფუძნებელ წევრთა კრება გამგეობის ამოსარჩევად. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ფ. ხოდოროვიჩი, იმის თანაშემწედ—რ. ზომმერი, მდივნად ი. პაევსკი, ხაზინადრად გ. მ. დოლუხანოვი.

◆ ტფილისის ქალთა პირველ გიმნაზიის უფროს კლასის და მეორე გიმნაზიის ყველა კლასის მოსწავლეებმა თანაგრძნობა გამოუცხადეს ვაჟთა მეორე გიმნაზიის მოწაფეებს **და სწავლა შესწყვიტეს.**

◆ **კუკიის საქალაქო სკოლასთან,** სტრელკოვის ქუჩაზე, არსდება **საკვირაო სკოლა.** მოსწავლეთა მიღება დაიწყება ხვალ, 2 ოქტომბერს.

◆ გუშინ შეცდომით მოხსენებული გვქონდა, რომ სახელოსნო სასწავლებლის სამღვთო სჯულის მასწავლებელმა მღ. ტყემალაძემ შუამდგომლობა აღძრა **სამღვთო სჯულის ქართულ ენაზე სწავლების შესახებ.** შუამდგომლობა აღძრეს საკომერციო სასწავლებლის დირექტორმა და მღ. ტყემალაძემ ამ სასწავლებლის მოსწავლეთა თხოვნით. შუამდგომლობა ფინანსთა მინისტრს გაეგზავნა.

◆ **„საეკ. სახულიერო მოამბეს" რედაქტორად** მღ. პოკროვსკი დაინიშნა. განზრახული ქართული განყოფილება ამ ჟურნალისა აღარ გამოვა.

◆ ნამესტნიკმა გაზეთ **„ტფ. ლის."-ს მეორე რედაქტორად** ბ-ნი მიხაილოვი დაამტკიცა.

◆ გუშინ, 30 სექტემბერს, **ჯარის ალლუში დამთავრდა** დიდ-ლილოსთან.

◆ 3 ოქტომბერს ქ. თელავში **დაიწყება სხდომები ტფ. სასამართლოს სესიისა.** სესია გასტანს 12 ოქტომბრამდე. სასამართლომ 15-მდე საქმე უნდა განიხილოს.

◆ ქ. ტფილისის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორი საჭიროდ სცნობს სასანიტარო ნაწილის ზოგიერთ მოსამსახურეს, სულ 65 კაცს, იარაღი დაურიგდეს. აქედან ცხრა ექიმია, ორი ბეითალი და სხვა. გამგეობა ამ დღეებში ად-

ფელეტონი

პატარა ამბები

ჩვენი სოლომონი რეაქციის გზაზე

ჩვენი სოლომონი ამ ბოლო დროს ძალიან დაინტერესდა რეაქციით. „მოახლოვდა რეაქცია... დაიწყო რეაქცია... მოქმედობს რეაქცია!" ამის ფიქრმა შეიპყრო მისი არსება. სიტყვა „რეაქცია" მოსვენებას არ აძლევს, წამ და უწუმ ტრიალებს მის თავში და რაც უნდა გაიფიქროს, წინ მაინც „რეაქცია" წამოუხტება.

სოლომონს ყველაფერი ეინტერესება ახლა, რასაც რამე კავშირი აქვს რეაქციასთან. ჰკითხულობს, თუ სადმე ჩაუვარდა ხელში რეაქციონური გაზეთი, აღარ გაურბის, თუ სადმე შეხვდა რეაქციონერი და არ ეუცხოვება მისი დახავსებული მსჯელობა. მოხდება ისეც კი, რომ თვითონაც მიდის რეაქციონერებთან ოჯახში, დაობს, ოხუნჯობს, თამაშობს მათთან. აღარ ეჩვენება რეაქციონერები უმსგავსო ადამიანებად.

თანდათან ეჩვევა რეაქციის. „რა არის რეაქცია? ეკითხება თავის თავს: განა ისეთი საშიში და მავნებელია? განა რეაქციის ქვეშ დაღუპვა უნდა, ისე უდგეთ და უცქეროთ? სრულიადაც არა! რეაქცია მხოლოდ ანარქიის წინააღმდეგია, მაგრამ რა არის აქ ისეთი? ვინ იცის, ეგებ ცხოვრებაში რეაქციაც სასარგებლოა, თავისი როლი აქვს რეაქციას. რეაქციონერები რომ არ იყვნენ, შესაძლებელია, ბევრი უბედურება დასტეხოდა ქვეყანას თავზე. რეაქციაც ფსიხიური მოვლენაა, მასაც თავისი კანონი და საფუძველი აქვს, და ბევრიც რომ ვეცადოთ, მას ვერ მოუსპობთ. რეაქცია კანონიერია, კანონიერია იმიტომ, რომ ბუნებრივია და რაკი ბუნებრივია... მაშ კიდეც უნდა იყოს". არწმუნებს სოლომონი თავის თავს.

„რა არის რეაქციონერი? განა რეაქციონერი ადამიანი არ არის? ყოველი ადამიანი ადამიანია და ვინც უნდა იყოს იგი, პატივს უნდა ვცემდეთ. არ უნდა გვძულდეს რეაქციონერი. მართალია, ძალმომრეობას ჰქადაგებს, მაგრამ ვინ არის ისეთი, რომ ყველაფერში მართალი იყოს. რეაქცია ძალას ხმარობს, მაგრამ ჩვენც არ მივმართავდით ძალას განა? რეაქციონერებს უნდათ ბატონობა შეირჩინონ, მაგრამ ვის არ უყვარს ბატონობა და არ უნდა მისი შერჩენა? რეაქციონერები არ არიან ისე სულელნი და უვიცნი, როგორც ბევრს ჰგონია. რეაქციონერებს შორის არა ერთი და ორი მოიპოვება ღრმად ნასწავლი და ფილოსოფოსი: რამდენი პროფესორია მათ შორის, მუსიკოსი, მხატვარი. რის მაჩვენებელია ეს, თუ არა იმის, რომ რეაქცია არ არის ისე დასაგმობი და აბუჩად ასაგდები".

ხშირად ესაუბრება ასე სოლომონი თავის თავს. გულს იმაგრებს, ამართლებს თავის ყოფა-ქცევას. „რეაქცია" დადგება, რომ ეუბნებიან, უპასუხებს: რატომაც არაო. არწმუნებს თავის თავს, რომ ასეც უნდა მომხდარიყო, და ვინმემ რომ უთხრას: ტყუილი ოცნებაა, რეაქცია არ დადგება, რეაქცია ფეხს ვერ მოიკიდებს, ბიუროკრატია თავის დაცემულს სამეფოს ვერ აღადგენს, ვერ განახლებს დაძველებულს წესწყობილებას, ვერ გააცოცხლებს მკვდარს რეჟიმსო,—სოლომონს ძალიან ეწყინება ეს და პირად შეურაცხყოფად მიიღებს. სწყინს, ბიუროკრატიის უძლურებას რომ ეტყვიან და რეაქციის სახელით ემუქრება ყველა დემოკრატს და ხალხის მეგობარს.

სოლომონი არ არის თვითონ რეაქციონერი და სრულიადაც არ ფიქრობს, ჩაეწეროს გრინგმუტის, პურიშკევიჩის და მისთანათა სიაში, მაგრამ ამ ბოლო დროს მაინც ექომაგება რეაქციას, იცავს მის შეხედულობას. როგორც-კი რასმე იტყვის, უთუოდ წაუმძღვარებს წინ: მე რეაქციასთან არაფერი არა მაქვს საერთო, პირიქით, სრულიად სხვა აზრების მომხრე ვარ, მაგრამ კაცმა მართალი უნდა თქვასო, და მოჰყვება იმის მტკიცებას, რომ რეაქცია არც ისე საგინებელია, რეაქციას ნიადაგი აქვს და უთუოდ აღადგენს თავის სიძლიერეს, რომელიც ბევრს გულუბრყვილო ადამიანს მოსპობილი ჰგონიათ. სოლომონს გულში უხარია, როდესაც ხედავს რეაქციის ძალას, თუმცა სახელით იმ პარტიას ეკუთვნის, რომელიც უკიდურეს გზას ადგია. როდესაც გაიგონებს, რომ ბიუროკრატიამ ამდენი ახალი მსხვერპლი შეიწირაო, შეწუხებულ სახეს მიიღებს, მაგრამ გულში კი სიამოვნებას ჰგრძნობს, რომ რეაქცია სახუმარო არ არის, მასთან თამაში არავისთვის არაა ხელსაყრელი. „ჰმ! რა მოიგეთ! არ გითხარით მე? ვის აუმხედრდით, ვის წინააღმდეგ მოინდომეთ ბრძოლა?" ეუბნებოდა საყვედურს ცივ სამარეში განსვენებულ მსხვერპლებს.

რეაქცია ძლიერია, რეაქციას მაგრად აქვს ფეხი გამაგრებული, მაშასადამე მისი მოსპობა დღეს ნაადრევია. დღეს რეაქციის არსებობას თავისი აზრი აქვს და მაშასადამე ანგარიში უნდა გაუწიოთ ამ გარემოებას...

* *

ამგვარი აზრები უტრიალებდა თავში ჩვენს სოლომონს. დაულაგებელი აზრები ჰქონდა: ხან გაბედულად იცავდა, რეაქცია ხან—ძლიერი არის ამიტომ უნდა შევურიგდეთო, ხან კიდევ—ერთსა და იმავე დროს აძაგებდა და კიდეც აქებდა. ხოლო მისი აზრების შინაარსი ერთი იყო მაინც: ეტყობოდა, რომ რეაქციონურ აზრებს დიდი ძალა მოეპოვებოდა მასზე და ამით რაღაც, ჯერ მთლად არ გარკვეულ, კმაყოფილებას და დამშვიდებას ჰგრძნობდა.

იყო დრო—და დიდი ხანი არ არის მას აქეთ—როდესაც სოლომონი რევოლუციონერად ითვლებოდა. ჩაწერილი იყო სარევოლუციო პარტიაში, მონაწილეობას იღებდა მის მოქმედებაში, რამდენად მოქმედება გამოიხატებოდა მომზადებაში, ესწრებოდა კრებებს, აგროვებდა ფულს, ეწეოდა პროპაგანდას, ედავებოდა მოწინააღმდეგეებს და ზიზღს უცხადებდა ყველას, ვინც მის პარტიას არ ეკუთვნოდა.

ბევრჯერ უთქვამს სოლომონს სარევოლუციო სიტყვები, დაუგმია დღევანდელი წესწყობილება და მისი დამცველები... ბრმა უნდა იყოს ადამიანიო, ამბობდა: რომ არ დაინახოს რაც ხდება მის გარშემო, ძველი ძალა შეირყა, მისი დღე დათვლილია და არ გაივლის დიდი ხანი, რომ არ იქნება მისი სახსენებელიც. რაც იყო, იმისი გაცოცხლება არავის არ შეუძლია. ხალხი აღსდგა და აღმდგარ ხალხს ვერავინ ვერ ჩააჩუმებს. აღმდგარი ხალხი აღელვებული ზღვაა და ვინ შესძლებს მის დაწყნარებას! ვინ არის ისეთი გაბედული, რომ წინ აღუდგეს თავისუფლებისაკენ მიმავალ ხალხს!"

ასეთს სიტყვებს ლაპარაკობდა სოლომონი და რამდენად მეტს ლაპარაკობდა, იმდენად უფრო ცხარდებოდა და მისი სიტყვები უფრო რევოლუციონური იყო. „ქუჩაში! ქუჩაში!" გაიძახოდა ხშირად; „იქ უნდა გადაწყდეს ყველაფერი, იქ უნდა გავასწოროთ უკანასკნელი ანგარიში. ის, რაც ჩვენ გვინდა, მშვიდობიანობით და ლაპარაკით არ მოიპოვება. ბუნების კანონია: რაც უნდა დაიმსხვრეს, უნდა დაიმსხვრეს. გადაშალეთ ისტორია და იქ დაინახავთ მრავალს მაგალითს. გადახედეთ დღევანდელ ევროპის ცხოვრებას და იქ ამოიკითხავთ კარგს გაკვეთილებს"...

სოლომონი დასცინოდა ლიბერალებს, მშიშარა ხალხიაო და რეაქციონერებს ხომ არც-კი ახსენებდა, არც სცნობდა მათ: სად არიან რეაქციონერები, რეაქციონერები მოისპნენ. სოლომონის საყვარელი სიტყვები იყო: როდესაც რასმე ზომიერ წინადადებას გაიგონებდა, მაშინვე დაიძახებდა: ეგ ხომ ლიბერალების საქმე არისო. არ მოსწონდა არც ერთი ლეგალური გამოცემა, არ ეკარებოდა ძველ მოღვაწეებს, გაურბოდა ყველაფერს, რასაც-კი ძველი, კონსერვატიული, ლიბერალური სახე ჰქონდა. მისი საგინებელი სიტყვა იყო „ლიბერალი". სადმე გლეხს რომ შეხვდებოდა, გამოკითხავდა მას მდგომარეობას და გლეხიც მოუყვებოდა: აი, შენი ჭირიმე, გადასახადებმა და უმიწობამ შეგვაწუხაო,—სოლომონი აღარ დაცლიდა ლაპარაკს და შეუტევდა: შენ, ძმაო, ლიბერალი ყოფილხარ, რა არის მიწა და გადასახადი, საქმე რევოლუცია არისო. ცოლი რომ ურჩევდა, დამდამობით ძალიან ნუ დაიგვიანებო, უპასუხებდა: მე ხომ ლიბერალი არა ვარო! თავის ოთახიდან გაიტანა ის წიგნები, რომლებიც არა-რევოლუციურ აზრებს შეიცავდა; კედლებზე ჩამოკიდა მარტო მებრძოლთა სურათები. საზოგადოებაში, ოჯახში, სადაც კი მოუხდებოდა ლაპარაკი, უთუოდ ისე მოაბრუნებდა სიტყვას, რომ რევოლუციაზე დაიწყებდა ლაპარაკს; ერთხელ გეოგრაფიულ საზოგადოების კრებას დაესწრო და როდესაც ერთმა წევრმა მოხსენება წაიკითხა იალბუზის მთის შესახებ, სოლომონმა სიტყვა

ს შუამდგომლობს, რომ ამათ იარაღი დაუ-
ნდეთ.

✦ სენაკის მაზრის მცხოვრებმა პავლე ქუთნიამ
ოქტომბერს პოლიციას გამოუცხადა, რომ ნავ-
ების ძველს გზაზე, თამამშევის საიჯარო ადგი-
ში, თავს დამესხნენ ჩემი მეზობლები იოსებ ქა-
ია და სარდიონ ძაგანია და წამართვეს რაც ნივ-
ბი გამაჩნდა და აგრეთვე ფულად 30 მან. შემ-
ქუთნიას ამხანაგები მიხმარებიან და წართმეული
ვები და ფული უკანვე დაუბრუნებია.

✦ 29 სექტემბერს, ღამე შუაბაზარში შემახის
ხოვრებს ყაზარ დომინოვს და დუშეთის მცხოვ-
ბს ზაქარია დალალოვს გაუტეხიათ მჭედლიშვი-
ს სარდაფი და დაუწყიათ მტვრევა ქერისა ძმ.
მაროვების ხალიჩის მაღაზიაში შესაპარავად და
საქურდავად. ქურდებს მისწრეს და დაიჭირეს.

✦ მე-7 ნაწილის ბოქაული სთხოვს პოლიცმეი-
ერს რაიმე იღონოს ქალაქის ამ ნაწილის ქუჩების
საწყავად.

—

შეცდომის გასწორება. „ცნობის ფურ-
ცლის“ მე-2919 ნომრის ფელეტონის—
ბრალთ ორტოდოქსი“ — პირველსავე
რიქონში შეცდომა შეპარულა. დაბე-
დილია: „ყველასათვის ცხადია, რომ კარლ
რქსმა წარმოშობა მრავალი კარლიკი,
ომელთა ერთგვარი ტიპი საუკეთესოდ
ნა რუსეთში დახასიათებული „მარქ-
სტთა“ ლით. უნდა იყოს—„მარქ-
სტთა“ სახელით.

სოფლად

—

ზემო ქართლი. ყველამ უკვე ვიცით,
მ ზემო ქართლიც ამოძრავდა და ბანი
ცა სხვა კუთხეებს. თუმცა ხალხი ამ
რამოით შევიწროვებული იყო, რადგან
ერი სამუშაო გაჩერდა და გამორჩენაც
არა ჰქონდა-რა, მაგრამ მომავლის იმე-
დით გამხნევებულნი სიხარულით ფეხზე
ერ იდგნენ და ზეცას მადლობას სწირა-
ნენ, რომ დადგა ხანა დაჩაგრულთა ხსნი-
ჩაიმუშავებ თუ არა პირნახული და მო-
ნა თუ არა შემოდგომამ, ბევრი მემამუ-
შეურიგდა გლეხს ან ძალად დასჯერდა
ს ნახევარს, რასაც წინად ართმევდა.
ემა ნაკლებიც იკმარა. ჯერ არ წაელოთ
მამულეებს ძალები, რომ ზემო ქართლში
იდა კომისია მრავალის ყაზახ-რუსებით
დრაგუნის სალდათით. სანამ ეს კომი-
მოქმედებას დაიწყებდა, ზემო ქარ-
ელ გლეხებს უხაროდათ, ვგონებთ მემა-
ეებთან საქმეს გავეითავებთ და მეთედს
გავიწყვეტო. კომისიაში იყვნენ: მაზრის
როსი გოგოხია, მომრიგებელი შუამავა-
კ. ამირეჯიბი და მარშალი ბაგრატიონ
თიშვილი. სიხარული „ხანგრძლივი არ
ოდგა. არ ეკაშნიკათ ჯერ ერთი ის,
მ კომისიას კარგა ბლომად ჯარი ახლდა,
რე ის, რომ მოლაპარაკების ნაცვლად
ეპირ გადასახადების აკრეფას შეუდგა.
ებისა და ხარჯების აკრეფას მოჰყვა
ყრობილეებში გასტუმრება იმათი, რო-
თაც ცოტათი მაინც შეეძლოთ ხმის ამო-
. ის მემამულენი, რომელნიც ცოტა
წინად თუ იმის ნახევარზე სჯერდებო-
ნ, რასაც იღებდნენ, დღეს სრულად
ევენ. ამას გარდა ეხლა ყველაფერი
ბაშად წამოაკიდეს გლეხს: ძალი, „ფო-
ფული“, მამასახლისისა, სკოლისა და
ათასი. ბედნიერია ის ადამიანი, რო-
იც ვერ ხედავს აქაური გლეხის გაჭირვ-
და გული არ ეწვის მათის ცოდვით.
აია დღეს ზემო-ქართლის ვითარება.

ხუცესი.

ზემო რაჭა. თუმცა გვიან, მაგრამ მაინც ერთობა ზემო რაჭისკენაც იკიდებს ნელ-ნელა ფეხს. ქვემო რაჭაში უფრო ადრე დაიწყო საქმე და კარგადაც მოეწყო. ზემო რაჭა მთიანი ადგილია და ხალხიც, რასაკვირველია, უფრო შეუგნებელია, ვიდრე ქვემო რაჭაში. მაგრამ, როგორცა ვსთქვი, ზევითა სოფლებიც ალაპარაკდნენ. ყოველ სოფელში იმართება გლეხთა კრება პირვარამზე მოსალაპარაკებლად. გაჩინა ხალხმა ასის თავები და ათის თავები, სასამართლოები ნელ-ნელა ცარიელდება.

დ. ონში იციან ყოველ პარასკევს ბაზრობა. ახლო-მახლო სოფლებიდან შემოჰყავთ გასასყიდად მრავალი მსხვილ ფეხი საქონელი, აგრეთვე თხა-ცხვარი და სხვა. შემოაქვთ სოფლელ დედაკაცებს ყველი, ერბო, კარაქი და სხვა სანოვაგე. როგორც მითხრეს, ყოველ გაყიდულ საქონელზე გლეხები იხდიან ბაჟს თოთხმეტ შაურს. ამას წინად, ერთ პარასკევს, ერთი სული საქონელი აღარ შეუყვანიათ ბაზარში სოფლელებს; საქონელი გააჩერეს ონს ზევით, ერთ სოფლის მოედანზე და იქ დაუწყეს ყიდვა. როდესაც ეს ამბავი გაიგო მაზრის უფროსმა, გაიყოლა თან რამდენიმე ყაზახ-რუსი და მოისურვა საქონლის წამორეკა ბაზარში. გლეხები უარზე დადგნენ, არ შეიძლება ბაზარში წამოსვლა, რადგან უზომო ბაჟს გვართმევენო. კინაღამ ერთი უბედურობა არ დატრიალდა. ბოლოს გამოარჩიეს სამი მოთავე გლეხი და წაიყვანეს ონში. გლეხები მეორე დღესვე განთავისუფლეს.

ამბობენ, სოფ. ბარში გლეხებმა გადასახადზე უარი სთქვესო. ამიტომ გადასახადები ყაზახებსა და სტრაჟნიკებს აუკრებიათ. სოფ. სორის ადგილობრივ მღვდელს ბოიკოტი გამოუცხადა ხალხმა. ამას წინად ამ მღვდელს დაეკრა თოხი თავში თავის ძმისწულისათვის და კინაღამ წიაღსა აბრაამისასა შინა გაესტუმრებინა. საზოგადოდ აქ ეხლა ცუდის თვალით უყურებენ. ხშირად გვსმენია, ხალხმა სარწმუნოებაზე გული აიცრუაო. ეს მართალი არ არის, ხალხს სარწმუნოებაზე კი არ აუცრუებია გული, არამედ სარწმუნოების მქადაგებელ მღვდლებზე. ერთი მღვდელი დამთვრალიყო 6 აგვისტოს სოფ. კვაცხუთს, დამდგარიყო გზაში და ავლაბრელსავით სცემდა მუშტს გამვლელ-გამომვლელს. წადი და უთხარი გლეხებს, რატომ არ გიყვარს ასეთი მოძღვართქო.

განო მიქინაძე.

შეტაკება მოსკოვში

—

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან დეპეშებიდან, რომ მოსკოვში დიდი შეტაკება მოხდა მუშებსა და პოლიცია-ყაზახებს შორის. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ეს შეტაკება გამოიწვია სტამბის მოსამსახურეთა გაფიცვამ. გაფიცვა დაიწყო 23 სექტემბერს და 24 არც ერთი მოსკოვის გაზეთი აღარ გამოსულა. ყველა სტამბებსა და ლიტოგრაფიას ყაზახები და პოლიცია სდარაჯობდა.

ასით-ამწყობები, რომელთაც სხვანიც შეუერთდნენ, მთელი დღე ქუჩებში დადიოდნენ ჯგუფ-ჯგუფად და იმტვრევდნენ იმ სტამბების ფანჯრებს, სადაც მუშაობა იყო. თითო ჯგუფში ხშირად 200—300 კაცი იყო. ბევრი სტამბის პატრონი თვითონვე ითხოვდა მოსამსახურეებს, რომ რაიმე ზარალი არ მიეყენებინათ. ერთი ჯგუფი „რუს. ვედომოსტის“ რედაქციისთანაც მივიდა და დაათხოვნინა მუშები. მეორე ჯგუფმა კერძო პირებთან ერთად თათბირი გამართა ჩისტი პრუდსა და სხვა ბულვარებზე. ერთი ალაგიდან გაფანტული ჯგუფი მეორე ალაგას გადადიოდა. ტვერის ბულვარზე მთელი დღე ჰქონდათ ყრილობა და ბევრი სიტყვაც წარმოსთქვეს. სტრასტნოის მოედანი ყაზახებითა და სალდათებით იყო სავსე. მუშაობა შეჩერდა „რუსკ. ვედომოსტის“, „რუსკოე სლოვოს“, „ნოვოსტი დნიას“, „მოსკოვსკია ვედომოსტისა“ და გერმანულ გაზეთების რედაქციებში. მესტამბეები მუშათა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე უარს აცხადებდნენ. 24 სექტემბერს ერთი ჯგუფი, სტუდენტებთან ერთად აფრიალებულის დროშებით და „მარსელიეზას“ სიმღერით გამოიარა ტვერის ბულვარით სტრასტნოის მოედნისაკენ, სადაც ჟანდარმები დაჰხვდა. ასტყდა თოფის სროლა. საღამოზე ჟანდარმებს ორი სოტნა ყაზახი და ორი როტა გრენადერები მიემატნენ, მაგრამ სროლის ნება არა ჰქონდათ. ხალხის ჯგუფიდან გამოვიდა რამდენიმე ორატორი და პოლიტიკურ ხასიათის სიტყვები წარმოსთქვეს. ამის შემდეგ ჯგუფი ორ ნაწილად გაიყო და ნელ-ნელა დაიშალა. საღამოს ხუთ საათზე სტამბებში მომუშავენი მიადგნენ „რუს სლოვოს“ სტამბას, ჩამოაგდეს ბჭის-კარი, შევიდნენ შენობაში და ჩალეწეს სტამბისა და რედაქციის ოთახებში შუშები, მაგრამ ჟანდარმებმა და ყაზახებმა გაფანტეს. ამ დროს სტრასტნოი მოედანზე ჟანდარმებს სეტყვასავით დაუშინეს ქვები, აქა-იქ თოფებიც გაისროლეს. დასჭრეს მძიმედ ჟანდარმთა უფროსი როტმისტრი ველიჩკოვსკი. როცა წაქცეულ ველიჩკოვსკის უნდა მისცვივნოდა ხალხის ჯგუფი, სტუდენტის ტანისამოსში გამოწყობილმა პატარა ჯგუფმა (?) მოაშორა მას ხალხი და ჟანდარმები, დაუდო დაჭრილი ეტლზე და ყაზარმაში წაიყვანა. ამ შეტაკების დროს 12 პოლიციელი დაიჭრა ქვებითა და რევოლვერებით. საღამო ხანს ყაზახთა ორი პოლკი და ოთხი პოლკი ქვეითა ჯარისა გამწკრივდნენ სტრასტნოი მოედანსა და მონასტრის შუა. ამათ მიემატნენ პოლიციელნიც. აუარებელი მუშა ხალხი და მოსწავლე ახალგაზრდობა ბულვარის ნაპირებთან უძრავად იდგა შუაღამემდე. აქაც რამდენიმე სიტყვა წარმოსთქვეს. „მოსკოვის ლისტოკ“-ის შენობის ეზოშიც შეჯგუფდა ხალხი და შეტაკება მოხდა, მაგრამ ტელეფონით გამოწვეულმა პოლიციამ დაამშვიდა ხალხი. აქ დაიჭრა 40-მდე პოლიციელი და „მოსკ. ლისტ.“ რედაქტორი ივანოვი. „მოსკოვის ლისტოკ“-ს 5,000 მანეთი ზარალი მოუვიდა. ამის შემდეგ, გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, მოსკოვის გაზეთების სტამბებს ჟანდარმები, დრაგუნები და ყაზახები დაუყენეს დარაჯებად. როდესაც დრაგუნთა ესკადრონი „რუსსკი ლისტოკის“ სტამბა-რედაქციისაკენ მიდიოდა, ნიკიტის ბულვართან ხალხმა ქვები დაუშინა და აქა-იქ რევოლვერიც გაისროლა. ერთი უნტერ-ოფიცერი მოკვდა და რამდენიმე სალდათი დაიჭრა.

25 სექტემბერს ტვერის ბულვარზე გაიჭყლიტა ერთი დედაკაცი და ცხენიდან გადმოვარდნილი ყაზახთა აფიცერი.

პუშკინის ძეგლთან შეგროვდა დიდძალი ხალხი. ერთი სტუდენტი თვით ძეგლზე ავიდა, სიტყვა უნდა წარმოეთქვა, მაგრამ ჩამოვარდა და მძიმედ დაშავდა. ამავე დღეს მუშა ხალხი თავს იყრიდა დევიჩის მინდორს და სტარი ბასმანზე რკინის გზის ხიდსა და მაცხოვრის ტაძართან, აგრეთვე სტრასტნოი ბულვართან. მუშებმა ამოირჩიეს დეპუტაცია და გრადონაჩალნიკთან გაგზავნეს ყრილობის შესახებ მოსალაპარაკებლად. გრადონაჩალნიკმა ყრილობის ნება მისცა და ურჩია შენობა ქალაქის თავისთვის ეთხოვნათ. ეს ყრილობა გაიმართა 25 და 26 სექტემბერს. დეპუტატებმა სიტყვა მისცეს, რომ წესიერებას ჩვენ თვითონ დავიცავთო.

25 სექტემბერს საღამოზე პუშკინის ძეგლთან მიტინგი გაიმართა—მიტინგის შემდეგ ხალხის ერთი ნაწილი ტვერის ბულვარისაკენ წავიდა, სადაც ხალხსა და კაზაკებს შორის შეტაკება მოხდა და რევოლვერების სროლა ასტყდა. მცირე შეტაკება ბერტის ქუჩაზედაც მოხდა, სადაც ასით-ამწყობთ მუშაობა არ შეეწყვიტათ. ამით ხალხმა უკმაყოფილება გამოუცხადა და ჰაერში რევოლვერების სროლა დაიწყო. ხსენებულ სტამბის მუშებმა მაშინვე შესწყვიტეს მუშაობა და ამხანაგებს შეუერთდნენ.

ამავე დღეს, 25 სექტემბერს, მოსკოვის მებულკეთა მომუშავენიც გაიფიცნენ. ამათთვის არა თუ შეუსრულებიათ წინად დაპირებული მოთხოვნილებანი, არამედ ზოგს დაუთხოვნია კიდეც მუშები და შემდეგ უარეს პირობებით მიუღია. 26 სექტემბერს ფურნეებში მუშაობა აღარ იყო.

პრესსა

—

სექტემბერში მომხდარს საერობო და საქალაქო მოღვაწეთა კრებაზე წაკითხულ იქმნა, სხვათა შორის, ერთი მოხსენება იმ საზოგადოებრივ ძალთა შესახებ, რომელნიც შეერთდნენ და შეადგინეს საერობო მოღვაწეთა გუნდი ან, უკეთ რომ ვსთქვათ, პარტია. ამ მოხსენებაში გატარებული იყო აზრი, რომ საერობო მოღვაწეთა წინანდელმა კერძო კრებებმა, როგორც განსაზღვრულ საზოგადოებრივ აზრის გამომხატველმა, უკვე თვალსაჩინო პოზიცია დაიმკვიდრა და მტკიცე საზოგადოებრივი მნიშვნელობა შეიძინა, ამიტომ იმავ აზრების განვითარებამ უფრო უნდა გაამტკიცოს და გაამაგროს საერობო მოღვაწეთა ორგანიზაციაო. გაზეთი „სინ ოტეჩესტვა“ მეთაურს წერილში ხელახლა უბრუნდება მოსკოვის უკანასკნელ კრებას, მაგრამ სრულიად არ ეთანხმება იმ აზრს, ვითომც ამ კრების შემდეგ მნიშვნელობა საერობო პარტიისა წინანდელზე ძლიერი იყოს.

> უკანასკნელ წლების განმავლობაში,—სწერს გაზეთი,—ახალ საზოგადოებრივ ძალთა ძლიერ მოქმედებისთან ერთად საერობო-სააზნაურო ოპპოზიციაც უფრო თვალსაჩინო და საზრიანი შეიქნა. ეს საზოგადოებრივი წრე (საერობო და საქალაქო მოღვაწეები) შეჯგუფდა, შექმნა თავისი ორგანიზაცია, განსაზღვრული ადგილი დაიჭირა ქვეყნის სხვა მოწინავე და აქტიურ ძალთა შორის და, რამდენადაც ძლიერდებოდა ქვეყნის მაჯის ცემა საერთოდ, იზრდებოდა აგრეთვე ამ წრის სულიერი განწყობილებაც. ეს ისტორიული ამბავია და ამიტომ აღიარებულ უნდა იქმნას ყველასაგან, მიუხედავად იმისა სიმპატიას ჰგრძნობს კაცი ამ წრისადმი თუ ანტიპატიას.
>
> ამნაირად, ჩვენ თანახმა ვართ იმ დახასიათებისა, რომელიც მოხსენებამ მისცა ამ საზოგადოებრივ წინანდელ მოღვაწეობას, მაგრამ ამას იქით კი არ შეგვიძლიან იმ აზრისავე ვიყოთ, როგორც მოხსენება.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ მოხსენების სიტყვით, მნიშვნელობა წინანდელის საერობო კრებისა დამოკიდებული იყო საზოგადოებრივ აზრის განსაზღვრულ მიმართულებით, და განაგრძობს:

> ეს ცხადი გაუგებრობაა. გავლენა წინანდელ კრებებისა იქიდან კი არ წარმოსდგებოდა, რომ იგი აზრის განსაზღვრულ მიმართულებას ჰხატავდა, არამედ იქიდან, რომ, რახან ისინი თავის აზრს განსაზღვრულის სახით და განსაზღვრულს პირობებში ჰხატავდნენ, ამით მოქმედებას იჩენდნენ, სხვის ნებას თავის ნებას უყენებდნენ პირისპირ.

გაზეთი შემდეგ მოკლედ აღნიშნავს საერობო კრებების წინანდელს ხასიათს და დაასკვნის:

> განა შესაძლოა ერთს რიგში ჩავაყენოთ ის, რაც წარსულს შემოდგომაზე კეთდებოდა—რადგან მაშინ სიტყვა იგივე საქმე იყო და ის, რაც ნალაპარაკევი იქნება მომავალს ოფიციალურს კრებაზე. ჩვენ გვგონია, რომ საერობო სააზნაურო წრემ უმაღლეს წერტილს თავის განვითარებისას ერთის წლის წინად მიაღწია. აპრილის და ივლისის ყრილობამ შეინარჩუნა ნოემბერში მოპოვებული პოზიცია; უკანასკნელს კრებაზე კი, როდესაც ამ წრემ თუმცა რადიკალური პროგრამმა მიიღო, მაგრამ აქტიური მოქმედება კი არ გამოიჩინა, გამოაშკარავდა, რომ მოახლოვდა დრო თვის წრის დაშლისა. თუ ისტორიულმა მიმდინარეობამ ეხლანდელი მიმართულება შეინარჩუნა, სხვა და სხვა გვარი საზოგადოებრივი ძალები, რომელნიც აქამდე ერთად მიდიოდნენ, ამის შემდეგ სხვა და სხვა გზით გასწევენ.

როგორც ჩვენს მკითხველს ეცოდინება, გაზეთი „სინ ოტეჩესტვა“ ერთ-ერთი იმ მიმართულებასთან არის დაახლოვებული, რომელიც ამ ჟამად აქტიურად მოქმედობს რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრების ასპარეზზე. ამ გაზეთის აზრი საერობო პარტიის მნიშვნელობის შესახებ განსაკუთრებით იმ პირთ გვინდა დავანახოთ, რომელნიც დიდის აღფრთოვანებით შეეგებნენ მოსკოვის კრების გადაწყვეტილებას ეროვნულ საკითხის შესახებ. დეე ყველამ იცოდეს, რომ საერობო მოღვაწეთა მოქნილს ლაპარაკს თვით რუსეთის მომქმედ წრეებშიაც უკვე აზრი აქვს გატეხილი და იმისგან უბრალო ლაპარაკის მეტს არაფერს გამოელიან. სიტყვებით, მხოლოდ ლიბერალურ სიტყვებით ფონში გასვლის სურვილი საერობო მოღვაწეთა კრებას, ჩვენის აზრით, საუკეთესოდ მაშინ დაეტყო, როდესაც ფედერალიზმზე მსჯელობდა. პრინციპიალურად, ესე იგი, სიტყვიერად მხარი მისცა იმპერიაში მცხოვრებ ყველა ერების მისწრაფებას კანონმდებლობის დეცენტრალიზაციისადმი. მაგრამ საქმით კი—იმან ეხლავე განაცხადა, მხარს არ მივცემთო.

წერილები

—

ბალთა (საქართველოს სამხედრო გზა). ამ ორი კვირის წინად ბალთელი ქართველები სახელმწიფო ტყეში იყვნენ შეშისთვის. ორი გლეხი იმ ღამეს ტყეში დარჩა იმ აზრით, რომ ადრე დაედოთ შეშა, ჩაეტანათ კაკავში, გაეყიდნათ და დღიური საზრდო შეეძინათ. მაგრამ დაეცნენ იმ ღამეს ქისტები და მოსტაცეს ხუთი კამეჩი. კამეჩების პატრონებმა აცნობეს მეზობლებს, კვალი მდ. თერგს გაღმა გაიტანეს, გაიარეს ჯაირახის სოფელზედ და მივიდნენ მეცხალას. აქ მათ მოეგებნენ ქისტები და უთხრეს: თქვენი კამეჩები აქა გვყავანან; თუ მოიტანთ სულზედ სამ-სამ თუმანს, მოგცემთ, თუ არა და—არაო! ქართველებმა სულზედ თხუთმეტი მანეთი შეაძლიეს, მაგრამ ქისტებმა ასე უპასუხეს: კამეჩები თქვენი აღარ არის, რაკი თერგს გამოსცდნენ—ჩვენია, ეგეც ასე იაფად ხათრით გაძლევთო. მეტი რა გზა ჰქონდათ, ქართველებმა ივალეს ფული და დაიხსნეს თავიანთი კამეჩები. სოფელ ჩიმში მცხოვრებთ მოჰპარეს ძროხა; ამათი კვალიც ჯაირახისკენ წაიღეს. ბალთელებსაც ნება მიეცათ თავიანთ შორის აარჩიონ მამასახლისი, მაგრამ, სამწუხაროდ, ისევე ქისტი ამოირჩიეს, როდესაც ვკითხე: რატომ თქვენ შორის არ ირჩევთ ქართველსა—მეთქი, მიპასუხეს—რა ვქნათ, ბარემ კარგი და სასარგებლოა ჩვენთვის

ქეა და დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ,
რა მნიშვნელობა აქვს ისტორიაში სარევო-
ლუციო ტაქტიკას. თეატრში რომ იყო და
და ჩვეულებრივი უბრალო საუბარი, გული
ღდა და მოუსვენრად წამოიძახებდა: რა
ულობაა! განა ამას უნდა ლაპარაკობდნენ
ს, ამისთვის უნდა ტყდებოდნენ აქტიორები
თეატრში? საქმეზე-კი არ მოსწონდა ეხ-
ლები და მუდამ ეწუხებოდა: მზარეულს
შესახებ, რატომ ისეთ საქმეს არ გაა-
ებ, რომ... რომ...—აქ უნდა ეთქვა „რევო-
ლუციონური“ იყოსო... მაგრამ ვერ ბედავდა,
ან თვითონაც ვერ გამოერკვია, რანაირი
უნდა ყოფილიყო რევოლუციონური საქმე.
სოლომონი ჩამოვიდა ქალაქში სწორედ იმ
ს, როცა ჩვენში დღევანდელი განმათავი-
სუფლებელი ხანა დადგა და დაიწყო ძლიერი
მოძრაობა, როცა მთრეულ აღმოსავლეთში გა-
ებული იმი იყო. მანამდის სოლომონი
ს, სადაც პროვინციაში იყო კადაკარგული
რავინ იცოდა, თუ რა ხდება აქ,
მიმართულებას მისდევდა, თუ-კი ჰქონდა
ე მიმართულება.
მოვიდა თუ არა ქალაქში, ახალ-ახალი
ფრებას, დაუახლოვდა ახალგაზრდობას, გაი-
გატაცებული სიტყვები, გაიტაცა ხალხის
თო მოძრაობამ და შეიქმნა პარტიის წევრი.
ორც იზრდებოდა მოძრაობა და ხალხი
ურ ძალას იჩენდა, იზრდებოდა ამასთან
ომონის გატაცებაც. თავისუფლების სიომ
ერა, დაიწყო კრებები, მიტინგები, გაზე-
ა ხმა ამოიღეს, მთრეულ აღმოსავლეთსა
სახლშიც მესუსტებულ ბიუროკრატიას დავ-
ა გაბედულობა... სოლომონი აყვა ასეთ
ოდას და შეიქმნა რევოლუციონერი.

* *

მაგრამ გარემოება შეიცვალა, გათავდა ომი და რეაქციას იმედი მიეცა, რომ ხელ-ახლა აღადგენს ყველაფერს, დაიბრუნებს ძველს სიმეფეს. რეაქციას ისევ უნდა ბატონობა, ბიუროკრატის კალოშხდებას ჰფიქრობს, ამოძრავდა, ხმას იღებს, თითქოს ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ძლიერია ისევ...

სოლომონზე ხუსხ-ყინვასავით იმოქმედა ამ ახალმა სიომ. წელიწად ნახევრის „სარევოლუციო აზრებმა“ დაჰქრა. საზოგადოდ მღელვარებით გატაცებული სოლომონი დარწმუნებული იყო, რომ რევოლუცია მალე უნდა გათავებულიყო, რომ რევოლუციას იოლად უნდა მოეღებოდა ბოლო და დასრულებულიყო სრულის გამარჯვებით. „რევოლუცია დაწყებულია, ამბობდა: როდესაც საჯარო კრებაზე ლაპარაკობდა მაღალ-მაღალი სარევოლუციო სიტყვებს“, და ისე ეგონა, რომ მისი სიტყვები არღვევდა და ძირს უთხრიდა ბიუროკრატიულ წყობილებას.

მაგრამ გარემოება შეიცვალა... და ჩვენი სოლომონი ჩავარდა საგონებელში. „აგი ბიუროკრატია უძლურიაო“? ეკითხებოდა თავის თავს, როდესაც ხედავდა ქუჩაში სალდათებს, ყაზახებს და დარაჯებს. მძიმე „სარევოლუციო აზრებით“ დატვირთული სოლომონი ძალიან შეეფიქრიანდა. რუსეთში თითქოს მიეჩვივნენ, ჯარი მატულობდა, სატუსაღოები ივსებოდა დაჭერილ ხალხით, სამხედრო წესები შემოიღეს, აიკრძალა კრებები და გაძლიერდა თვალ-ყურის დევნა. ამას სრულებით არ მოელოდა სოლომონი. მწარე ფიქრებმა შეიპყრო მისი გონება. შიში შეეპარა და დაიწყო ფრთხილად ლაპარაკი და ფრთხილად სიარული. ისეც დაიღალა და მოსვენება სწყუროდა და ახლა კიდევ რეაქციის აზრდილმა უფრო აუშალა ნერვები.

„ნუ თუ რეაქცია დადგება? ხშირად ეკითხებოდა თავის თავს: ნუ თუ ეს შესაძლებელია, მოსალოდნელია ასეთი ცვლილება?“ ცდილობდა როგორმე დაერწმუნებინა თავისი თავი, რომ რეაქცია უღონოა და ვერაფერს გაბედავს, მაგრამ როგორც კი დაინახავდა შეიარაღებულ ყაზახებს, შეშინდებოდა, დაებნეოდა აზრები და წინ წარმოუდგებოდა რეაქცია ბუმბერაზ არსებად, რომელსაც ვერავინ ვერ დაამარცხებდა. რაც მეტს ფიქრობდა რეაქციის შესახებ, იმდენად უფრო და უფრო იმორჩილებდა რეაქცია. რეაქცია ეგონებოდა ახლა, სხვა არაფერი. ღამეც კი რეაქცია ესიზმრებოდა, გამოეცხადებოდა სიზმარში თავიდან ფეხამდის შეიარაღებულ დარაჯად და კანკალს დააწყებინებდა.

შეშინდა სოლომონი. შეშინდა და კრებებსაც მიანება ცოტათი თავი. ერიდებოდა თავის ამხანაგებს და თავსაც არ დაუკრავდა ხანდახან იმათ, რომელნიც „შენიშნულნი“ იყვნენ. როდესაც მოუხდებოდა მაინც ამხანაგებთან ყოფნა, ცოტას ლაპარაკობდა, აღარ ისროდა სარევოლუციო სიტყვებს და უჩხუბდა ამხანაგებს: ადრე დავიშალოთ, სახიფათოა გვიან სახლში დაბრუნებაო. წინად გაბედულად დადიოდა ქუჩაში, პოლიციის მოხელეს რომ შეხვდებოდა, ამაყად გადახედავდა და ზიზღსაც კი უცხადებდა, ახლა კი პოლიციელებისაც შეეშინდა, ერიდებოდა იმ ადგილის გავლა, სადაც დარაჯები იყვნენ და იშვიათად გამოდიოდა გარედ საღამოს რვა საათის შემდეგ...

* *

სწუხდა სოლომონი, რომ ასე შეიცვალა, უღალატა „რევოლუციას“; რცხვენოდა თავის თავისა. მაგრამ ძლიერი იყო შიში და როგორც მოინდომებდა ხმის ამოღებას, გამაგრებას, მაშინვე წინ წამოუდგებოდა „უზარმაზარი“, „უძლეველი“, „საშინელი“ რეაქცია და სოლომონი, უზომოდ შეშინებული, იძულებული იყო, უკუეგდო სირცხვილი და დაეწყო რეაქციის წინაშე თავის მართლება.

ასეთ მდგომარეობაში იყო სოლომონი მთელ თვე-ნახევარს. მერე კიდევ უარესი ცვლილება მოხდა მასში. იმდენი იფიქრა რეაქციაზე, იმდენს ეცადა თავი გაემართლებია რეაქციის წინაშე, რომ თანდათან მისდაუნებურად შეეჩვია, შეეთვისა რეაქციას. შიშმა წარმოშობა თავისი ფილოსოფია, თავისი გამართლება.

სინიდისი რომ წარმოუდგებოდა წინ, სოლომონი თავს იმართლებდა: „რევოლუციონერი ვიყავი, ვემსახურებოდი რევოლუციას, მაგრამ ახლა გარემოება შეიცვალა, და ტაქტიკაც უნდა შევცვალოთ. ყოველთვის ერთნაირი საშუალება არ ვარგა. ყოველთვის გარემოების დაგვარად უნდა ვმოქმედოთ. ახლა უნდა დავწყნარდეთ, რეაქცია დავაძინოთ, დავამშვიდოთ და მერე შეიძლება ისევ ძველ საშუალებას მივმართოთ. ახლა ჩვენ რომ ისევ სარევოლუციო გზა განვაგრძოთ, ქვეყანას დავღუპავთ, დამნაშავენი ვიქნებით ხალხისა და ისტორიის წინაშე. ამიტომ უნდა დავწყნარდეთ, დავმშვიდდეთ, შევურიგდეთ გარემოებას და შევაჩეროთ მოქმედება. ახლა შეგვიძლია მხოლოდ წყნარად, ჩუმ-ჩუმად გავავრცელოთ ჩვენი აზრები...

... საქმე ის ხომ არ არის, რომ სახელს გამოვეკიდოთ. რა არის რევოლუცია? რევოლუციაო, დაგვიძახებია და იმას კი არ ვუყურებთ, რას მოიტანს რევოლუცია. სარევოლუციო მოქმედება ახლა ჩვენ დაგვღუპავს, მიწასთან გაგვასწორებს. ამიტომ უნდა მოვსპოთ ყოველივე მოძრაობა და ვუცადოთ დრო-გარემოებას“.

ასე იმართლებდა თავს შეშინებული სოლომონი და რამდენად შორდებოდა უფრო და უფრო სარევოლუციო აზრს და მოქმედებას, იმდენად უფრო და უფრო უახლოვდებოდა რეაქციას. „რა არის რეაქცია“? ეკითხებოდა თავის თავს და არწმუნებდა, რომ რეაქცია სრულიად არ არის ისეთი საშინელი და მავნებელი, როგორც ეს პირველის შეხედვით ეგონება კაცს; რეაქციაც საზოგადოებრივი მოვლენაა, რომელიც არ შეიძლება უარვყოთ, მას ანგარიში უნდა გავუწიოთო. სარევოლუციო დრო იყო, ამბობდა სოლომონი: მეც რევოლუციონერი ვიყავი, მაგრამ ეხლა დრო შეიცვალა, სხვა მდგომარეობაა. იყო დრო, მეც ვმუშაობდი, ვმოღვაწეობდი, ახლა კი უნდა შევჩერდეთ. სხვა არა იყოს რა, დასვენებაა საჭირო. განა მე არ შემიძლია თავი მოვიწონო იმით, რომ რევოლუციონერი ვიყავი? ჩემი გავაკეთე, რაც შემეძლო, მაგრამ მეც ადამიანი ვარ... რა ვუყოთ, სხვა დროა. მით უმეტეს, რომ ამ სხვა დროს სხვანაირი ტაქტიკაა საჭირო და სასარგებლო.

სოლომონი ერთის მხრით გრძნობდა ასე თუ ისე თავის სილაჩრეს, მაგრამ მეორეს მხრით ცდილობდა დაემტკიცებია, რომ რეაქცია საჭიროა, სილაჩრე ეხლა უფრო გამოსადეგია ქვეყნისთვის და სრული სიჩუმე და დამუნჯება უფრო შეეფერება ხალხის ინტერესებს...

სოლომონი შეეჩვია რეაქციას, მაგრამ თვითონ არ არის ჯერ რეაქციონერი. იცავს და ამართლებს რეაქციას, ვითომ ობიექტიურად, სამართლის გულისთვის, რომ დაჰფაროს თავისი სილაჩრე და ზნეობრივი სიღატაკე.

შიშმა დააყენა ჩვენი სოლომონი რეაქციის გზაზე. ვნახოთ, სანამდის მივა...

ხიტუშე

ჩვენი კაცი, მაგრამ ვინ გვახეირებს, ჩვენი კაცი შიშით ვერავინა დგება, მაშინ მას გადაეკიდებიან და ან გადასწვავენ და ან მოჰკლავენო.

ქართველი ოსებში

სოფ. ფშაველი (კახეთი). სამი კვირა იქნება, რაც აქ სოფლის მოხელეები აირჩიეს. ამისდა მიუხედავად ქურდობა და ძარცვა-გლეჯა ხშირი იყო. ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა ხალმა მოიყარა თავი მამასახლისის და ნაცვლის თანადასწრებით და შეუდგა ქურდების გამოტეხას. ერთი ბიჭი სამი დღით წინვე ჰყავდათ მიბმული ბოძზედ. როგორც აღმოჩნდა, ამ ბიჭს მონაწილეობა მიეღო დუქნის გატეხაში, საიდანაც გაეტანათ ურმით თერთმეტი ვუდა ყველი და ერთი ბარდანა მატყლი. ხალხმა ოთხი ქურდი გამოტეხა. ესენი მიაბეს ბოძზედ და თითონ ხალხი ეცა მათ სოფელს, ლალის ყურს, რომელიც ნახევარი ვერსის მანძილზე მდებარეობს ფშაველიდან, შევიდა ამ დაჭერილების სახლებში, წამოიღო ორი ტომარა პური და გამოირეკა სამი სული საქონელი, ესენი სულ თით-ოროლა გირვანქობით დაინაწილეს. დარბეულები დაჰპირდნენ იმ ქურდის დაჭერას, რომელიც მოთავე ყოფილა და რომელიც დღე დღეურად ტყეებში იმალება.

აჭაური

ბარის ოსეთი (თერგის ოლქი). ბარის ოსეთში ძლიერ მტკიცედ ასრულებენ ახალის დროის დადგენილებებს. ამას წინად სოფ. ხუმალაგაში ერთმა დედაკაცმა თავის მეზობელს ყველი მოჰპარა. ყველის პატრონმა ეს ამბავი აცნობა უბნის მეთვალყურეს. უბნის მეთვალყურემ შეატყობინა სოფლის ამორჩეულთ. შეიკრიბა 80 კაცი და მიადგა ყველის მომპარავის სახლს. გამოიწვიეს პატარა ქალი, ჩაიყენეს შუაში და უთხრეს: გვითხარი სწორედ, შენ მოიპარე ყველი თუ დედაშენმა (პატარა ქალისთვის დედას ჩაეგონებინა, შენ დაიბრალე ყველის მოპარვა რადგან პატარა ხარ და არას გიზმენო). პატარა ქალმა ტირილი მორთო: მე არ მოვიპარე, დედაჩემი იყოვო. და თან წაიყვანა და უჩვენა: აი ამ ნაგავში ტომრით ჩამალა ყველი დედაჩემმაო. ხალხმა ნაგავი გადმოაქცია და ყველიანი ტომარა გამოათრია. მერე გამოიყვანა დედაკაცი და უთხრეს აიკიდე ეს ტომარა კანცელარიაში წაიღეო. დედაკაცი მეტად გულ მაგარი გამოდგა, ერთბაშად მივარდა ერთ კაცს, თვალის დახამხამებაზე ააცალა ხანჯალი, დაიცა მუცელში და იქვე დაეცა. სოფლის მეთვალყურენი აჰითი არ შეკრთნენ, ჩვენი ფიცი ფიციაო, ტომრით ყველი დედაკაცის ქმარს აჰკიდეს, გაიძღვარეს წინ კანცელარიისკენ და თან იძახდნენ: თუ მორჩა დედაკაცი, კუპრს, წავუსვამთ, თუ მოკვდა და ეგეც ეყოფაო. მერე ყმაწვილმა ბიჭმა ცოტა თივა მოიპარა. მიუცვივდნენ სახლში, 50 მ. ჯარიმა წაართვეს და კუპრიც წაუსვეს. არდონსა და ნებიჲი ქრისტიანში სახლებს უნგრევენ ქურდებს. ერთის სიტყვით, ბარის ოსეთში ამ ჟამად ქურდობა მოისპო, მაგრამ ქისტები მაინც თავისას არ იშლიან. ამას წინად, ალუგარდნის მხრიდან გარეკეს რამდენიმე ცხენი და მოჰკლეს პატრონი. სოფ. გიზელში მოჰკლეს ყარა ბიჭუნდუხოვი.

ბარის ოსეთის ყველა სოფელში სცხოვრობენ მთებიდან ჩამოხიზნული ოსები. ამათ „დროებით მცხოვრებთ“ ეძახიან. ზოგი ოცი-ოცდაათი წელიწადია ცხოვრობს ბარად. აი, ამ დროებით მცხოვრებთ აუჯანყდნენ სოფლებში და აღარ აყენებენ. ბევრი ხვეწნის შემდეგ დროებით მცხოვრებმა პირობა მისცეს სოფლელთ: რადგან ნამუსობა გვაქვს ამ პირნახულს მოვირთვლებთ თუ არა, ჩვენის ნებით ავიყრებით და წავალთო.

აჭაური

„ივერიის“ რედაქციას

(წერილი რედაქციის მიმართ)

თქვენის გაზეთის მე-175 ნომრის მეთაურში ავტორმა სულ ტყუილა უბრალოდ ჩვენის, სათავად-აზნაურო გიმნაზიის მოწაფეების, პიროვნება შეურაცხყო. მან აუწყა საზოგადოებას, რომ მოწაფეებს არც თავიანთი აზრი და შეხედულება აქვთ საზოგადოებრივ საკითხებზე და არც ამ საკითხის განხილვაში არიან დაინტერესებულნი; ურჩ და შეუპოვარ მასწავლებელთ, რომელნიც მუქარას უთვლიან დაწესებულების შემნახველ საზოგადოებას, მოსწავლენი იარაღად გაუხდიათ თავიანთი მისწრაფების განსახორციელებლადაო. ეს აზრია, მხოლოდ სხვა სიტყვებით, გამოთქმული ხსენებულ მეთაურში. სტატიის ავტორმა ფაქტად აღიარა ის, რაც ნამდვილად არა ყოფილა და თანაც დაუმატა: „ვერ ნახავთ, რომ სხვაგან მასწავლებლებმა მოწაფენი შერეკონ კრების დარბაზში და აგიტაციაში მონაწილეობა მიაღებინონო“.

დავამშვიდებთ ბ-ნ ავტორს და ვეტყვით, რომ მსგავს მოვლენას ვერც ხსენებულ გიმნაზიაში ნახავს. მართლაც, წერილის ავტორს რომ ენებებინა საქმის ნამდვილ ვითარების შეტყობა, გაიგებდა, რომ მასწავლებლები არა თუ კრების დარბაზში არ ერეკებოდნენ მოსწავლეებს, პირიქით, სასტიკად უკრძალავდნენ უბრალო დასწრებასაც. როდესაც ჩვენ კრებაზე დასწრებისა და ლაპარაკის ნება მოვითხოვეთ, ესეც დავუმატეთ, რომ ამას ჩავდიოდით წინააღმდეგ სკოლის გამგის და მასწავლებელთა დაყენებულ თხოვნისა, რასაც, გვგონებთ, ქ-ნი თავმჯდომარე და დამსწრე საზოგადოებაც დაამოწმებს.

შეიძლება თქვენთვის, ბ-ნო ავტორო, ძნელი წარმოსადგენი იყოს, რომ ჩვენ სკოლის გამგისა და მასწავლებელთა სურვილის წინააღმდეგ ვმოქმედობდით. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ვერ ვითმენთ, როდესაც ჩვენს ბედ-იღბალზე სხვები ლაპარაკობენ, რომ მათში ჩვენც არ ჩავერიოთ; გვწყურია გავიგოთ, რას გვიქადის ხვალე; ვერ ვითმენთ და გვინდა, რომ ჩვენი ჭირ-ვარამი, გულის ტკივილი საზოგადოებას ვამცნოთ; იქ, სადაც საქმე ჩვენ შეგვეხება, ჩვენც აქტიური მონაწილეობა გვსურს მივიღოთ. ვერც მზრუნველის განკარგულება, ვერც მთავრობის ინსტრუქცია და ვერც სხვა რამ ვერ დაგვიდგება წინ ამ ჩვენ მისწრაფების განხორციელებაში.

დასასრულ გთხოვთ ჩამოგვაცალოთ ის ჩირქი, რომელიც ხსენებულ წერილით მოგვეცხო, და შეცდომა საჯაროდ გაასწოროთ, ან კიდევ დაგვიმტკიცოთ, რომ კრებაზე მასწავლებლებმა შეგვრეკეს და იმათის ჩაგონებით ვმოქმედებდით.

ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის მოწაფენი[*)]

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ქვემორე შენიშვნას[*)] შესახებ № 2910-ში დაბეჭდილ კორესპონდენციისა სიღნაღიდან იქ მომხდარ სამაზრო საერთო კრების გამო. მე მინდა შევასწორო კორესპონდენტის უმთავრესი შეცდომა ჩემის ნალაპარაკევის შესახებ.

კორესპონდენტი მათქმევინებს ასეთ ფრაზას: „ვინდრე არ მოისპობა ერთა შორის უთანასწორობა, სხვა და სხვა ერის პროლეტარი ვერ შეჯგუფდება ერთად საერთო მოქმედებისათვის“. ასეთი აზრი მე არსად, არასოდეს არ მითქვამს და არც ვიტყვი როდისმე, რადგან იგი უთუოდ შეუწყნარებელია. რომ შეიძლება სხვა და სხვა ერის პროლეტარიატი „შეჯგუფდეს საერთო მოქმედებისათვის“ ამასა ჰმოწმობს გარემოებული ცხოვრება, ამასვე ჰმოწმობს ცოცხალი ფაქტები, შეუდარებელი მაგალითები ეროვნულ უთანასწორობის, რუსეთის იმპერიიდან, სადაც შეჯგუფებული პროლეტარიატი სხვა და სხვა ეროვნებათა, დღეს ერთის აზრით, ერთი გრძნობით გამსჭვალული, ძმურად ხელი-ხელ ჩაკიდებული მიდის საერთო მიზნისაკენ.

კომისიაში და, საზოგადოდ, კრებებზე აღძრულ საკითხის გამო ჩემ მიერ ნალაპარაკევის დედა აზრი იყო ასეთი: ეროვნული ჩაგვრა აფერხებს ქვეყნის მშვიდობიან კულტურულ განვითარებას, იგი წინ ეღობება და აფერხებს პროლეტარიატის კლასობრივ განვითარებას, შეთანხმება-შეერთებას. სოციალ-დემოკრატია, რომელიც უთვლოდ ებრძვის პიროვნებასა თუ პირობათა ყოველგვარ ჩაგვრას, რა ფორმითაც და რა სფერაშიაც უნდა გამოიხატებოდეს ეს ჩაგვრა, სოციალ-დემოკრატია აქტიურად ებრძვის ეროვნულ ჩაგვრას და ესწრაფვის დაამყაროს ერთა შორის სრული თანასწორობა და ეს არამც თუ არ ეწინააღმდეგება სოციალ-დემოკრატიის პრინციპებს, პირ-იქით, ლოღიკურად და ბუნებრივად გამომდინარეობენ ამ პარტიის ძირითად პრინციპებიდან.

კორესპონდენტი ისე გადმოგვცემს, ვითომ ჩემის აზრით ავტონომია ყველგანა და ყოველთვის ერთგვარად სწყვეტდეს ეროვნულ საკითხს. ნამდვილად-კი ეროვნული საკითხი სწყდება დროისა და ადგილის კონკრეტიულ სოციალურ პოლიტიკურ პირობების მიხედვით. მაგალითად, ეროვნულის საკითხის გადასაწყვეტად ერთგან შეიძლება საჭირო იყოს ქვეყნის სრული განცალკევება (სეპერატიზმი), როგორც ეს მოახდინა ბელგიამ; მეორეგან—პირად უნიის გაწყვეტა, როგორც ეს მოახდინა შვეცია-ნორვეგიამ და ზოგან შეიძლება სამუდამოდ ან დროებით კმაყოფილდებოდნენ ავტონომიით, როგორც ვხედავთ რუსეთის ზოგიერთ დაპყრობილ ერებში. რაც შეეხება კერძოდ ჩვენ ქვეყანას, აქ მომავალი, დღევანდელი დასახსნ მომავალი, ჩემის აზრით, ეკუთვნის არა ქართულ, თათრულ სომხურ ავტონომიებს, არამედ კავკასიის საერთო ავტონომიას.

ვლ. დარჩიაშვილი

P. S. იმავე ნომერში დაბეჭდილ ჩვენ საერთო დებულების პროექტის მე-10-თე მუხლის პირველ სტრიქონში შეცდომით გამოტოვებულია სიტყვა თანასწორი. უნდა იყოს „თანასწორი საარჩევნო უფლება და სხ.“

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი. კავკასიაში გუბერნიების ამომრჩეველთა საერთო რიცხვი ამნაირადაა განწესრიგებული: ბაქოს გუბერნიაში—35, ბათუმის ოლქში—16, დაღესტნისაში—30, განჯის გუბერნიაში—45, ზაქათალის ოლქში—15, ყარსისაში—17, ქუთაისის გუბერნიაში—31, ტფილისისაში—35, ჩერნომორსკის ოლქში—16, ერევნის გუბერნიაში—35, ყუბანის ოლქში—94, თერგისაში—49, სოხუმისაში—15, სულ 433, მათ რიცხვში რწმუნებულთა სიეზდისა და ნაწილების ყრილობებისაგან—192, მიწად-მფლობელთაგან—100, ქალაქების ამომრჩეველთა სიეზდისაგან—81 და ყაზახ-რუსებისაგან—60.

ადმირალი კრიგერი ურჩივს სახლვაო სამინისტროს სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნისთვის.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

29 სეკტემბერი.

პეტერბურგი. 29 სექტემბერს დაიკეტა კონსერვატორია თანახმად სახელოვნო საბჭოს დადგენილებისა.

ბაქო. სამრეწველოებზე დასრულდა 20 ბურღის კოშკის კეთება. ბევრს ასწორებენ. ხეტყე ასტრახანიდან მოდის მუდამ დღე. ოსტატ-დურგლები აკლიათ.

ვოგზალის გარეშე ნაწილში ორი სომხის სახლებში აღმოაჩინეს აუარებელი იარაღი და პატრონები. სახლის პატრონები ციხეში ჩასვეს.

როსტოვი დონზე. დამშეულ გუბერნიებიდან აუარებელი მუშა მოდის. დიდ გაჭირვებაში არიან. ქალაქის საავადმყოფო გავსებულია. აქ რომ სამუშაოს ვერ შოულობენ, სხვა პორტებში მიდიან მუშები, მაგრამ იქაც ვერაფერს ხდებიან.

ვენა, 29 სექტემბერი. ფეიერვარის დღევანდელმა აუდიენციამ, რომელმაც 2 საათს გასტანა, ვერაფერი დასკვნა ვერ გამოიტანა. ხალხი ხელ-ახლა გამართება თათბირი. კოალიციის წრეებში ამბობენ, პალატა უსათუოდ იქმნება დათხოვნილიო; ამის გამო კოშუტმა, სანდო პირების საშუალებით, შეკრიბა ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ წავა ახალ არჩევნების საქმე.

ბერნი. საერთო კრებამ ერთხმად დაადგინა, იშუამდგომლოს, რომ ქალებს აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება მიეცეთ ქალაქებისა და ერობების თვითმმართველობებში.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

29 სექტემბერი

პარიჟი. დელკასე არღვევს იმ ამბავს, ვითომც მისი საქმე იყოს გამოაშკარავების მოხდენა. „მატენ“-ში აცხადებს ჟორესი, რომ მან იცოდა დელკასეს მიერ წარდგენილი წინადადება შესახებ იმისა, რომ ესარგებლნათ ინგლისის გაჯიბრებით გერმანიის წინააღმდეგ.

სტამბოლი. ოთის ბანკმა იკისრა კრიტოსის კრების მიერ გამოცხადებულ 500 ათასი მანეთის სესხის განაღდება.

სოფია. ბულგარეთის ეგზარხოსი სტამბოლს ბრუნდება.

ხარკოვი. საბჭომ გადასწყვიტა, დანიშნოს სწრაფი კრება და განიხილოს საკითხი საშუალო სასწავლებლებში სწავლა აღზრდის დაყენების შესახებ. აგერ რამდენიმე დღეა საშუალო სასწავლებლების მოსწავლეები არ მეცადინეობენ.

კაპშტადტი. თანახმად „ოფიციალურ დეპეშისა, რომელიც გამლენდის მთავრობას მოუვიდა, ჰოტენტოტების ბელადებმა მარენგომა და მორისმა, ცხარე ბრძოლის შემდეგ, ხელთ იგდეს გერმანიის ბანაკი. გერმანელებს მოუკლეს ლეიტენანტი, 5 სალდათი და ერთი ფერმერი, დაუჭრეს 8 სალდათი. ჰოტენტოტებს არ მოსვლიათ ზარალი. მათ ხელთ იგდეს საწყობები. ტყვეთ წაყვანილთ იარაღი აჰყარეს და გაჰგზავნეს გენ. ტროტასთან მარენგოს წერილით, რომელშიაც იგი აცხადებს, ჰოტენტოტებს შეუძლიათ წინ გაიდამჭრან და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენო.

პეტერბურგი. 27 სექტემბრის განმავლობაში ვისლის პირა მხარეში 3 კაცი აღმოაჩნდა ხოლერით ავადმყოფი, ლოძში—11, რომელთაგან 2 მოკვდა. ლომჟის გუბერნიაში ახალი შემთხვევა არ ყოფილა ხოლერით ავადმყოფობისა.

მოსკოვი. მოსკოვის საცენზურო კომიტეტი სასამართლოში ჩივის უპირებს შემდეგის სათაურიან წიგნების გამომცემელს: „რას ექადის საზოგადოება ხოლერის საწინააღმდეგო ზომების მიღების შესახებ გამართულ პიროგოვის სიეზდის სახსოვრად“.

29 სექტემბერი.

ბათუმი. მაისში მოკლულ მუფტიის ორ მკვლელს სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა.

პეტერბურგი. უკანასკნელი სხდომა ქონდათ მინისტრთა კაბინეტის დაარსების საკითხის შესახებ. შედგენილი პროექტი წარედგინება უმაღლეს სახელზე დასამტკიცებლად.

მოსკოვი. დომბროვისა და ნაზხოლცის ქარხანაში ჩხუბი მოუვიდათ საქმეზე მყოფ და გაფიცულ მუშებს. რამდენიმე კაცია დაშავებული ორივე მხრით.

კიევი. გარდაიცვალა ნაფიცი ვექილი კუპერნიკი.

ოდესა. გრადონაჩალნიკმა შუამდგომლობა აღძრა ოდესის გაზეთების წინასწარ ცენზურისაგან განთავისუფლების შესახებ.

ხარკოვი. უნივერსიტეტის საბჭომ გადასწყვიტა, იშუამდგომლოს, რათა ნება დართონ ქალებსა, რეალისტებსა და სემინარისტებს უნივერსიტეტში შესვლაზე.

მოსკოვი. მებულკეები და პურის მცხობელნი მუშაობას იწყებენ. სტამბების გაფიცვა ემუქრება საარჩევნო სიების დაბეჭდვასა და დროზე გამოქვეყნებას. დღეს გაიხსნა უნივერსიტეტი. სწავლას სრულის წესით შეუდგნენ

კიევი. იმ პირთაგან, რომელნიც დაესწრნენ საარტისტო-სალიტერატურო საზოგადოებაში კრებას 13 სექტემბერს, 186 კაცს მიუსაჯეს ადმინისტრატიულის წესით ერთი ს კვირიდან 3 თვემდე დატუსაღება. ლიტერატორი ვოლოვოზოვი, რომლის რეფერატის წაკითხვისათვის იყო დანიშნული ეს სხდომა, 3 თვით დააპატიმრეს.

პეტერბურგი. პოლიციის დეპარტამენტის ცნობა მოსკოვის არეულობის შესახებ: სიტინის სტამბა-ლითოგრაფიის მუშებსა და ადმინისტრაციის შორის უსიამოვნობა ჩამოვარდა, რითაც ისარგებლა ნებადაურთველმა საზოგადოებამ „მოსკოვის სტამბა-ლითოგრაფიების მუშების კავშირი“-ს სახელით. სტამბების მუშებმა შეიმუშავეს საერთო მოთხოვნები. 24-ს მუშაობაზე ხელი აიღო 50 სტამბამ. წინაპირველად მშვიდობიანობა სუფევდა, 23 სექტემბერს აღელვება დაეტყოთ. დღის სამს საათზე პატრიარში პრუდთან შეკრებილი ხალხი გაჰფანტა პოლიციამ. შემდეგ ხალხი ტვერსკოი ბულვარისკენ გაემართა, მაგრამ იქიდანაც გააძევეს. დაშავდა როტმისტრი ველიჩკოვსკი, ჟანდარმთა უნტერ-ოფიცერი და ტყვიით დასჭრეს ერთი უბრალო ჟანდარმი. საღამოს 6 საათზე „მოსკოვის ლისტოკ“-ის სტამბაში ხალხი შეეცადა მუშაობაზე ხელი აეღებინებინა, მაგრამ გაფანტულ იქნა პოლიციისა და ყაზახ-რუსების მიერ. საღამოს 8 საათზე ბულვარებთან მიმავალ დრაგუნებს ქვები ესროლეს ხალხიდან და დაზიანეს 4. 24 სექტემბერს, 2 ნახევარ საათზე, ტვერსკოი ზასტავასთან თავი მოიყარა რამდენიმე ასმა მუშამ და გაემართნენ სტრასტოის მონასტრისაკენ, მაგრამ გაფანტულ იქნენ ჟანდარმებისა და ყაზახ-რუსების მიერ. დღის, ასე 4 საათი იქნებოდა, 400 მუშამ ძალად აღაკვეთინა მუშაობა ლიტკოვის და ევდოკიმოვის სტამბებში. საღამოს 7 საათზე, ტვერსკოი ბულვარზე, გრადონაჩალნიკის სახლის პირდაპირ, აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი და, როცა დაშლა მოსთხოვეს, ქვებით გასცა პასუხი პოლიციასა და ჟანდარმ-ყაზახ-რუსებს. ყაზახ-რუსებმა თოფები დაახალეს ხალხს, მაგრამ დასჭრეს მხოლოდ ერთი. აქ შეიპყრეს 11 კაცი. რევოლიუციონერ ჯგუფების აგიტაციის წყალობით 25 სექტემბერს გაიფიცნენ პურის მცხობელნი და მოითხოვეს 8 საათის სამუშაო დრო. ფილიპოვის სახლიდან მუშებმა დაუშინეს პოლიციას ბოთლები, ქვები, აგურები. ამგვარად წრ მოექცნენ ორ ასეულ ყაზახ-რუსებს და რამდენჯერმე ესროლეს კიდეც მათ. ამ სახლში შეიპყრეს 197 მუშა. საღამოს რვას ნახევარ საათზე სრეტინსკის ჭიშკართან გაჰფანტეს მუშების გროვა, რომელიც ქვების სროლით მიეგება პოლიციას. 25 სექტემბერს კაპცოვსკის სასწავლებელში კრება ქონდათ სტამბების მუშების დეპუტატებს, რომელთაც პროგრამა შეიმუშავეს.

ვარშავა, 29 სექტემბერი. ჩამოახრჩვეს ყაზახ-რუსის მკვლელი ორივე.

პეტერბურგი, 30 სექტემბერი. გუშინ დილით მოსული, მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორი ტრუბეცკოი, საღამოს დაესწრო საერო განათლების სამინისტროს თათბირს. სიტყვა წარმოსთქვა და უცბად გრძნობა დაკარგა; დაუყოვნებლივ გადაიყვანეს კლინიკურ ინსტიტუტში, მაგრამ შუაღამისას სისხლი აუვარდა ტვინში და გარდაიცვალა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ზ. ჯაბადარი

[*)] ეს წერილი რედაქციამ ორი დღის წინად მიიღო. რედ.

[*)] ამ წერილის დაბეჭდვა დაგვიანდა რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო. რედ.

განცხადებანი

ამით ვაუწყებთ ტფილისის საზოგადოებას, რომ

აფთეკა
არ. ზენევიჩისა
(ეხლა) იმყოფება მადათოვის ქუჩაზე მარტიროზოვის სახლში, ალექსანდროვის, ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.
(3—2) პროვიზორი ზენევიჩი

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

Состоящіе въ вѣдѣніи министерства финансовъ
БУХГАЛТЕРСКІЕ КУРСЫ
Н. В. Абраамяна, въ Тифлисѣ,
автора „Руководства торговой, фабричной и нефтепромышленной бухгалтерій“, учать и подготовляютъ лицъ обоего пола въ 4 мѣсяца, путемъ практики бухгалтеріи и др. коммерч. специальн. предметамъ.

Преподавателями на курсахъ приглашены лица съ университетскимъ образованіемъ и специалисты своего дѣла, утвержденные учебнымъ отдѣломъ министерства финансовъ, а также по каллиграфіи каллиграфъ-художникъ.

Пріемъ съ 5 до 7 ч. вечера. Начало занятій съ 15-го сентября 1905 г. ежедневно по послѣ обѣдамъ, съ платою по 60 р. за полный курсъ. По окончаніи выдается установленный аттестатъ, разрѣшенный г. министромъ финансовъ.

Независимо отъ сего, при курсахъ же открыты для лицъ малоподготовленныхъ особые пополнительные и повторительные курсы рускаго языка и ариѳметики. Желающихъ прошу обращаться письменно или лично къ учредителю курсовъ въ Тифлисѣ: Николаевская, 46, Телефонъ 747) Правила и программы высылаются безплатно. (10—9.

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნი-ნოვგოროდი.

კალოშებისა
და რეზინის სხვა საქონლისათვის
უდიდესი ჯილდო
(Grand prix)
პარიზის გამოფენაზე
მიენიჭა რუსეთში მხოლოდ
ამხანაგობას
რუსეთ-ამერიკის
რეზინის მანუფაქტურისას
ს.-პეტერბურგში,
დაარსებულს 1860 წელს

რეზინის კალოშების
ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას.
„С.-Петербургъ“
წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).
ნარდად გაყიდვას აწარმოებს საკუთარი სახლი
„ლეოპოლდ ნეიშელერი“
პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, ტაშკენტს და ტფილისში.

Доз. ценз. Тифлисъ, 30 Сентября 1905 г.
Печ. Груз. Изд. Т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამ—სა